კვალი

X. წ. ყოველკვირეული გაზეთი. X. წ.

№ 11. კვირა, 10 მარტი 1902 წლისა. № 11.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: დღევანდელი იუბილეის გამო, მოსაუბრისა.—ვ. ა. აბაშიძე.—ქალაქის მართვა-გამგეობა, ფ. გ.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-დასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—***, ლექსი, ნინოსი.—დოსტ ტეფი, მ. გორკისა.—რუსეთის ცხოვრება.—ღია წერილი, მოსაუბრისა.—ფინლიანდიის ამბები.—პატარა წერილი, № სა.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—ნეკროლოგი, № სა.—ოჯახის წარმოშობა და განვითარება, გრ. რობაქიძისა.—ბ-ნ ჩხიკვიშვილის წერილის გამო, სიმონ ბერეკიანისა.—კვალის ფოსტა.—განცხადებანი.

„კვალის“ რედაქციისაგან.

ვაცხადებთ ხელის-მოწერთა საყურადღებოთ, რომ ვისაც ხელოვანი ფული არ აქვს შემოტანილი, მომავალი ნომრიდან „კვალი“ აღარ გაეგზავნება.

დღევანდელი იუბილეის გამო.

დღეს, 10 მარტს, ქართული სცენა დღესასწაულობს ერ-[illegible]

ა რ ტ ი ს ტ ი ვ. ა. ა ბ ა შ ი ძ ე.

[illegible]ადგენელის, ვ. აბაშიძის, 25 წლის არტისტიულ მოღვაწეობას. ქართველი საზოგადოება ერთშვიათი ერთსულობით და სიხარულით ეგებება ამ დღესასწაულს, და ეს არც ძნელი ასახსნელია. ვისაც კი ქართული წარმოდგენა უნახავს და ან ქართული თეატრის სახელი გაუგონია, იმას უეჭველათ ვ. აბაშიძის სახელიც ექნება გაგონილი, თუ თავის საკუთარი თვალით არ უნახავს მისი შესანიშნავი თამაშობა. ქართული თეატრი, ეს სრულიად ნორჩი კულტურული ძალა, მჭიდროთ შეკავშირებულია დღევანდელ იუბილარის სახელთან. მსახიობთა მუდმივი დასის დაარსება, რეპერტუარის შექმნა, წარმოდგენების მოწყობა-გამართვა საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და ზოგჯერ სოფლებშიც, სახალხო წარმოდგენების მართვა და მრ. სხვა—ყველა ამაში ვ. აბაშიძეს საპატიო ღვაწლი მიუძღვის. მე აქ არ გამოვუდგები არც იმის განმარტებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ხალხის ცხოვრებაში, არც იმას, თუ რა სამსახური გაუწია ქართული თეატრის წარმატების საქმეს ვ. აბაშიძემ, ე. ი. თუ რა იყო და რა არის ქართული სცენისთვის დღევანდელი იუბილიარი. მე მსურს აქ სულ სხვა გარემოებას მივაქციო მკითხველის ყურადღება.

მე ვამბობ იმას, რომ ასეთ დღესასწაულის დროს, როცა ჩვენ თანაგრძნობას და პატივის-ცემას ვუცხადებთ რომელსამე [illegible] საზოგადო მოღვაწეს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებანი, რომლებშიაც იგი მოღვაწე მოქმედებდა და ცხოვრობდა. ჩვენ წინ-და-წინ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ვერც ერთი მოღვაწე თავისთავათ ვერ შექმნის, ვერ გამოიწვევს იმ გარემოებათ, რომლებშიაც მას მოქმედება უხდება და რომლებიც ან ხელს უწყობენ მას ან აფერხებენ მის მოქმედებას. ამასთანავე თითოეულ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი. როცა ეს მოთხოვნილებანი საკმარისათ განვითარებულია, უმრავლესობას გონია, რომ ეს ყოველთვის ასე უნდა ყოფილიყო; მას ვერ წარმოუდგენია, რომ იყო დრო, როცა ესა თუ ის მოთხოვნილება, ესა თუ ის დაწესებულება სრულებით არ არსებობდა, და ხალხი კი მაინც ცხოვრობდა. ამ უმრავლესობისთვის ისიც წარმოუდგენელია, რომ მოვა დრო, როცა დღევანდელ საზოგადოებიდან ნატამალიც აღარ დარჩება. რომ

ეს ასე ხდება, [illegible] ---და-სხვაგვარი მოთხოვნილებანი და დაწესებულებანი რიგ-რიგობით ევლინებიან კაცობრიობას, ამას, სხვათა შორის, დღევანდელი დღესასწაულიც შვენივრათ ამტკიცებს. სად იყო ჩვენში ქართული თეატრის ხსენება ამ 30—40 წლის წინეთ? მართალია, ჩვენ ვიცით, რომ გასული საუკუნის მეორმოც-და-ათე წლებში თფილისში იმართებოდა ქართული წარმოდგენები, მაგრამ ეს ძალ-დატანება იყო, ეს არ იყო საზოგადოების მოთხოვნილება, და ამიტომ იგი ჩქარა უნდა ჩამკვდარიყო. ეს ასეც მოხდა. მას მერე გაიარა თითქმის 25 წელიწადმა, და ამ ხნის განმავლობაში ქართული თეატრის ხსენება არსად არ არის. და ეს იმიტომ კი არა, რომ ამ ხანებში ჩვენ არ მოგვეპოვებოდა შესაფერი მსახიობნი ან წარმოსადგენი პიესები. სრულებითაც არა: ერთიც და მეორეც გამოიძებნებოდენ, რომ თვით ხალხში რამდენიმეთ მაინც ყოფილიყო თეატრის მოთხოვნილება. ის კი უნდა ვთქვათ, რომ თუმც თეატრის მოთხოვნილებას ჯერ კიდევ არ ქონდა მიღებული გამორკვეული ფორმა, მაგრამ ეს მოთხოვნილება უკვე ჩნდებოდა, იბადებოდა ჩვენში. ბატონ-ყმობის გადავარდნა, რკინის გზის გაყვანა, ალებ-მიცემობის და მრეწველობის დანერგვა ჩვენში, ერთი სიტყვით, ჩვენი საზოგადოების გაევროპიელების გზაზე დადგომა იმავე დროს ჩვენ საზოგადოებაში თეატრის მოთხოვნილების გაჩენას ნიშნავდა. ეს მართლაც ასე მოხდა. დაახლოვებით ამ ოც-და-ხუთი წლის წინეთ, ე. ი. იმ დროს, როცა ჩვენი ნიჭიერი მსახიობი, ვ. აბაშიძე, ჯერ კიდევ სულ ახალ-გაზდა ყმაწვილი, პირველათ გამოვიდა სცენაზე, ჩვენ ხალხს გაევროპიელების გზაზე უკვე პირველი ნაბიჯი გადადგმული ქონდა. ამიტომ ამ დროს სხვა კულტურულ მოთხოვნილებებთან ერთათ, თეატრის მოთხოვნილებაც აუცილებელი შეიქნა. აქედან აშკარაა, რომ ესა თუ ის პიროვნება კი არ იწვევს ამა თუ იმ მოთხოვნილებას, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ [illegible] მოთხოვნილება [illegible] პიროვნების ამა თუ იმ ასპარეზზე მოქმედებას. ვ. აბაშიძეს იმიტომ კი არ ვცემთ ჩვენ პატივს, რომ მან ჩვენ საზოგადოებაში დაბადა თეატრის მოთხოვნილება, არამედ იმიტომ, რომ მან სხვებზე უფრო ადრე იგრძნო ეს მოთხოვნილება და შეიგნო მისი მნიშვნელობა. და, აი, სწორეთ აქ არის მისი ნიჭის ძლიერება. ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიამ დაამტკიცა, რომ ბ-ნი აბაშიძე არ შემცდარა, როცა თავის მოღვაწეობის ასპარეზათ მან ქართული თეატრის სამსახური აირჩია. ყველა საზოგადო მოღვაწისთვის საგულისხმიერო უნდა იყოს ეს მაგალითი.

აბა, წარმოიდგინეთ ერთ წუთს ჩვენი ხალხის ცხოვრება ამ 25 წლის წინეთ; ჩაუკვირდით მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებათ და შეადარეთ ყოველივე ეს დღევანდელ პირობებთან. რა განსხვავებას აღმოაჩენთ, რა წინააღმდეგობას დაინახავთ! ავიღოთ თუნდ მხოლოთ თეატრი. ამ 25 წლის წინეთ დიდმა უმრავლესობამ არც კი იცოდა, თუ ეს რა ხილი იყო. თუ თფილისში ათასში ერთხელ გამართავდენ რაიმე წარმოდგენას, იმას ესწრებოდენ წარჩინებული პირნი, მთავრობის მოხელენი და თავად-აზნაურობა. უბრალო ხალხი ვის ახსოვდა? რაც შეეხება პროვინციებს, დაბა-ქალაქებს, იქ არც ეს იყო. დღეს კი რას ვხედავთ: თეატრი გადაიქცა სახალხო დაწესებულებათ, იგი თანდათან უახლოვდება დაბალ ხალხს. თფილისში დაფუძნდა ქართული თეატრი მსახიობთა მუდმივი დასით; ასევე ქუთაისშიაც. გარდა ამისა თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში იმართება წარმოდგენები ყოველ წლივ ან განსაკუთრებით ამ მიზნისთვის აგებულ შენობებში ან კიდევ კერძო დარბაზებში, — და ყოველივე ეს მოხდა რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში. ის, რაც ამ 20 წლის წინეთ ბევრს შეუძლებლათ ან უმნიშვნელო თავშესაქცევათ მიაჩნდა, დღეს ჩვენთვის განხორციელებულია და მით ვამაყობთ. და ეს ასეა არა [illegible] თეატრის საქმეში; ამასვე ვხედავთ ჩვენ ყოველგან, ჩვენი [illegible] ვრების ყოველ ფეხის ნაბიჯზე: აიღეთ წერა-კითხვა, [illegible] ტურა, ჟურნალ-გაზეთობა, ალებ-მიცემობა, [illegible] ყოველგან არსებითათ ერთ და იმავე განვითარების პრო[illegible] ვამჩნევთ; განსხვავება მხოლოთ წვრილმანებშია; ერთ ად[illegible] ნაკლები დრო უნდება, მეორეს მეტი; ერთ საქმეს უფრო [illegible] კლები დაბრკოლება ხვდება გზაზე, ვინემ მეორეს და სხვ. [illegible] ჩვენ მივდივართ წინ, ეს ჩვენ გვჯერა, ამაში ჩვენ ღრმათ ვა[illegible] დარწმუნებული; მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ გზაზე [illegible] ბევრი დაბრკოლება გვხვდება წინ, ჩვენ ძალაუნებურათ ვრწმ[illegible] დებით, რომ აქ ჩვენ ეკლიანი გზა გვაქვს წინ გასავლელი, ეს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ. არ უნდა დავივიწყოთ ისეთ გარდამავალ დროს, როგორიც არის ჩვენი დრო, რო[illegible] ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება ირღვევა და მის მაგი[illegible] უნდა დამყარდეს სხვა, რადგანაც ეს ახლის დამყარება მრავა[illegible] ტკივილს იწვევს და დიდ ტანჯვას მოითხოვს თანამედრო[illegible] მოღვაწეთაგან. მაგრამ ამ დროს ჩვენ უნდა გვაფრთოვანებდ[illegible] და ძალას გვაძლევდეს ის რწმენა, რომ ყოველივე ძველი ა[illegible] რე იქნება თუ გვიან უნდა უსათუოთ დაირღვე[illegible] და დაიქც[illegible] და გამარჯვება მხოლოთ ახალს ეკუთვნის. ამისთვის საზოგად[illegible] მოღვაწეთ მართებთ სულის სიძლიერე და ხასიათის სიმტკი[illegible] რომ პირველმა დაბრკოლებამ უკან არ დაახევიოს. გარდა ამი[illegible] სა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ გზის გაკაფვა ძლიერ სამძიმ[illegible] საქმეა, და აქ დროებით დამარცხება დამარცხებათ არ ჩა[illegible] თვლება. ადრე იქნება თუ გვიან ხალხი უთუოთ შეიგნებს ას[illegible] მოღვაწეთა ნაამაგევს და შეძლებს იმათ დაფასებას.

ერთ ასეთ მაგალითს ვხედავთ ჩვენ დღეს, და ეს ჩვენ გვა[illegible] ხარებს. მართალია, ვ. აბაშიძეს არ შეხვედრია თავის მოღვაწ[illegible] ობის ასპარეზზე მაინცა და მაინც დიდი და მძიმე დაბრკოლ[illegible] [illegible] რჩია თავის მოღვაწეობის ასპარეზათ, სრულიად ახალი გ[illegible] იყო, ჩვენში ჯერ დაუცდელი, და ამიტომ, რა თქმა უნდა, სა[illegible] ხიფათო. და იგი მაინც გამოდის ამ ასპარეზზე. ჩვენ თვალ წინ[illegible] გვიდგას ახალგაზდა ვ. აბაშიძე, რომელიც პირველ ხანებში გაუბედავათ და ფრთხილათ იწყებს სიარულს ახალ გზაზე; დაბრკოლება მას არ ახევინებს უკან, არამედ რაც დრო გადის, მას სული უფრო და უფრო ემატება ძალა და გამბედაობა, იგი უფრო და უფრო შეუდრეკელი ხდება და ბოლოს გამოდის გამარჯვებული. და აი დღეს სხვებთან ერთათ ჩვენც ვუსურვებთ მას დღეგრძელობას, რათა მისი არტისტიული ნიჭი შემდეგშიაც ისეთი ნაყოფიერი დარჩენილიყოს, როგორიც იყო იგი წარსულში.

მ. ასაუბრე.

ვ. ა. აბაშიძე*).

ქართული სცენა ჯერ კიდევ იმდენათ ნორჩია, რომ დღევანდელი დღე მისთვის მეტათ ძვირ-ფასი დღეა.

სულ ორი არტისტი იცის საქართველომ, რომელთაც უდღესასწაულიათ თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა სცენაზე. ესენია აწ-განსვენებული ბ. ავალოვისა და კ. დ. ყიფიანი, რომელმაც იდღესასწაულა 30 წლის მოღვაწეობა. მართალია, იმათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი თეატრის წინაშე, მაგრამ ისინი შედარებით მაინც უფრო შორს იდგნენ ჩვენი სცენიდან. ხოლო ვ. აბაშიძე ნამდვილათ შეეზარდა ჩვენ სცენას, ის ამ ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობს მხოლოთ თეატრით, მხოლოთ მის გარშემო ტრიალებს, თეატრის გამარჯვება მისი გამარჯვებაა, თეატრის გაჭირვება მისი გაჭირვებაა.

*) აქ მოყვანილი ცნობები ჩვენ ამოვკრიფეთ ბ. ა. ცაგარლის ხელნაწერიდან.

დაიბადა ვ. ს. 1855 წელს დუშეთში, სადაც მამა მისი იყო სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველად. ცოტა ხნის შემდეგ მისი მშობლები გადმოსახლდენ ქალაქს. აქ ბაზაზე ვასომ თავისი განათლებული დედის, მცირე-რუსეთელ ქალის, ხელ-მძღვანელობით შეისწავლა წერა-კითხვა. შემდეგ მიბარეს თფილისის გიმნაზიაში, სადაც ცოტა ხნის შემდეგ გადავიდა ქუთაისის გიმნაზიაში.

ქუთაისში სწავლის დამთავრების შემდეგ ჩვენი ვასო (როგორც ჩვეულებრივად ვეძახით) დანიშნა იქვე კათოლიკეთა სასწავლებელში მასწავლებლად. ამ დროს ქუთაისის შეგნებულმა ბირებმა შეადგინეს ნატარა წრე, რომელიც კვირა-უქმეებში მართავდა წარმოდგენებს. ამ წრის წინადადებით, ბირველად ვასო აბაშიძემ ითამაშა ჩინოვნიკი ოლოგუზოვის როლი ოსტროვსკის პიესაში „შემოსავლიანი ადგილი“. ბირველივე ნაბიჯი იმდენად კეთილი და ნაყოფიერი გამოდგა, რომ ნათლად აგრძნობინა ვასოს, თუ რა ძლიერი იყო მასში არტისტიული ნიჭი. ამას შემდეგ მას უკვე სცენისთვის ადარ მოუშორებია თავადი. მართალია, ცოტა ხნობით ის სამსახურის გამო საქართველოს ქალაქებს მოშორდა, მარა იმ ადგილებშიაც მართავდა რუსულ წარმოდგენებს. ამავე დროს თფილისში ერთხელ ჩამქრალი თეატრის საქმე ისევ ათანათს იღვიძებს. ო. გიორგი თუმანიშვილის თაოსნობით 1878 წელს არსდება თეატრის მოყვარულთა წრე, 1879 წელს აქვე არსდება სამუდამო სცენა. ვასილი აბაშიძეც სამსახურიდან გამოდის და სცენისკენ ეშურება. 1887 წელს ჩვენმა არტისტმა იდღესასწაულა ათი წლის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე. ეს დღესასწაულიც იყო საროო, საერო, მასში მიიღო მონაწილეობა მთელმა საქართველოს ერმა.

ვასილ აბაშიძეს ჩვენ არტისტებში ეტყობა განსაკუთრებული თავისებურობა. ის თავისი შეხედულობით ქმნის როლს, ხატავს ტიპს. სულ ერთია, პიესა ეგრეთიელია, თუ ჩვენებური, მაინც მისი თამაში თავისებურია, მისი ტიპის დახატვა ორიგინალურია.

ამ ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში ის გამოსულა 200-მდე სხვა-და-სხვა როლში და ყველა ეს როლები ტიპებად შეუქმნია, ესე იგი ნათლად და მკაფიოდ დაუხატავს მთი თავისებურება. მაინც ის შეუდარებელია ჩვენებურ პიესებში. მისი საუკეთესო როლია კარანტერა („ძეწეში“), ისაი („სათაბლაში“), აკოფა („ხანუმაში“), ზიმზიმოვი („ბეჭეში“) და ბევრი სხვა.

ვასილ აბაშიძის დაწყლი მარტო არტისტიული მოღვაწეობით არ სრულდება. ის ზრუნავს თვით ქართულ თეატრის რეპერტუარზე-დაც. თარგმა რამდენიმე პიესა, აგრეთვე საკუთარი თხზულებებიც აქვს. კარგა ამისა 1885—1887 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ოთხგვერდული გაზეთი „თეატრი“, მანვე შეადგინა „ბანიოანი“, „ჩვენი თეატრი“, რომელიც წარმოადგენს პიესების კრებულს. მისივე შედგენილია „ჩანგი“, რომელიც იმდენად მოწონს ჩვენ საზოგადოებას, რომ უკვე ოთხჯერ დაიბეჭდა.

უნდა გავიხსენოთ ვ. აბაშიძის მოღვაწეობა თფილის გარეთაც. არ მოიძებნება არც ერთი ცოტადანთ შესამჩნევი კუთხე საქართველოსა, რომ იქ მას არ გაემართოს წარმოდგენები, რითაც ის მაერუებულ ადგილების მცხოვრებს დიდ სამსახურს უწევდა, საზოგადო საქმის ხალისს უღვიძებდა.

ეს მოკლე ცნობები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი დაწყლი მიუძღვის ჩვენ არტისტს ჩვენი ერის წინაშე. მან უკუაგდო ყოველი ბირადი სარგებლობა, არ დაერიდა არავითარ დაბრკოლებას და საკუთით შეწირა თავისი ნიჭი თავის ბატარა ერს, რომელიც მუდამ სულ-განაბული შეტევრის მის მოახდენილ თამაშობას. უეჭველია, ჩვენ კულტურულ განვითარებაში ნიჭიერი არტისტი დიდ ადგილს. მისი საკუთით დაფასება ისტორიას ეკუთვნის. ხოლო ჩვენ ვუსურვოთ კიდევ დიდი ხნით ჯან-მრთელი და გულ-წრფელი სამსახური, რომ მისი მსმენელნი, რომელნიც მისივე თაყვ-წინ იზრდებოდენ გახარებივთ ამ ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გაიზარდონ, მომწიფდენ და საკუთით დასტკბენ ხელოვნებით, ამ ცხოვრების ჭეშმარიტი გამომ ტველით.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ-ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

I. ქალაქი და მისი საჭიროებანი.

ქალაქის საჭიროებებზე, მის სასურველათ მართვა-გამგეობაზე წერა და ლაპარაკი ჩვენში არასოდეს არ აკლია. მით უფრო ახლა. მაისში თფილისის ქალაქის არჩევნები უნდა მოხდეს და ამიტომ ჩვენ მიერ აღებულ საგანს actualité, დროსთან შეფერებულობა არ აკლია. ჩვენ პრესსაში ამ საგნის შესახებ გვარიანი სიჩუმე სუფევს. და საჭირო კია ამაზე მეტი ფიქრი და ყურადღების მიქცევა.

„ქალაქის მართვა-გამგეობა“. მაგრამ ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: რა არის ქალაქი და რაა აქ სამართავ-საგამგებო? მართვა და გამგეობა ნიშნავს პრაქტიკულ მოქმედებას საქმეების ასე თუ ისე მოწესრიგებისათვის. ეს მოქმედება მხოლოთ მაშინ იქნება შეგნებული და სასურველ შედეგის მომტანი, როცა წინდაწინვე გამორკვეული და გაგებულია ცხოვრების მოთხოვნილებები, ნათლათ დანახული და გათვალისწინებულია გასაკეთებელი საქმეები. ყოველი პრაქტიკული მოქმედება ცხოვრების მოთხოვნილებებზე უნდა იყოს აგებული და მათთან შეთანხმებული. და, აი, მხოლოთ მაშინ იქნება იგი სასარგებლო და ნაყოფიერი. ამიტომ, სანამ პირდაპირ ქალაქის მართვა-გამგეობაზე ლაპარაკს დავიწყებდეთ, საჭიროა იმ საგნის ახსნა, რომელსაც ეს გამგეობა უნდა შეეხებოდეს, საჭიროა თანამედროვე ქალაქის ძირითად თვისების გარკვევა და მის მოთხოვნილებათა აღნუსხვა და განმარტება.

მაშ რას წარმოადგენს თანამედროვე ქალაქი? არ მგონია, ამ კითხვაზე ბევრისგან ერთნაირი პასუხი მიიღოთ. ბიუროკრატის აზრით, მაგალითათ, ქალაქი ის ადგილია, საცა ბლომათ კანცელარიები მოიპოვება და „ჩინოვნიკები“ ცხოვრობენ. ასეთ გულუბრყვილო ადამიანს არ გაეკვირება, რასაკვირველია, რომ ადმინისტრაცია ქალაქს არ შეადგენს. საადმინისტრაციო დაწესებულებები შეიძლება სოფელშიაც გადატანილ იქნეს, მაგრამ ამით სოფელი ვერ გაქალაქდება. მართალია, ეს ხელს შეუწყობს სოფლის აღიდება-გაფართოვებას, მიმოსვლის გაძლიერებას, ვაჭრობის გაღვიძებას და ხელოსნობის განვითარებას: კანცელარიაში მთხოვნელები მოვლენ, „ჩინოვნიკები“ ბინას დაიქირავებენ, მიკიტნებიმეტს ივაჭრებენ, ვაჭრები მეტ საქონელს გაასაღებენ. სოფლელები მეტ ქათამს და კვერცხს გაყიდიან და მეჩექმე ხელოსნებსაც უფრო ხშირათ მიუვათ გაცვეთილი ჩექმები დასაკერებლათ. მაგრამ ხელის შეწყობა სულ სხვაა და ქალაქის ღირძათ ყოფნა კიდევ სხვა. ასეთი ეკონომიური მნიშვნელობა საადმინისტრაციო დაწესებულებებს ქალაქშიაც აქვს. მხოლოთ ეს მნიშვნელობა შედარებით ძალიან პატარაა, ასე რომ იგი ქალაქის საფუძვლათ და მის დამახასიათებელ მთავარ მხარეთ ვერ ჩაითვლება.

თუ სოფლელს დაეკითხებით, იგი უეჭველათ ქალაქის ნიშნობლივ თვისებათ ხალხის და სახლების სიმრავლეს დაგისახელებთ. ქალაქი ის ადგილიაო, გეტყვით ის, საცა მრავალი ხალხი ცხოვრობს და ბევრი სახლია აგებულიო. ცხადია, რომ ესეც ზერელე შეხედულებაა. ერთათ მოგროვებული ლაშქარი, შეიძლება, 200 ათასზე მეტიც იყოს რიცხვით, მაგრამ ეს ხალხი, მარტო სიმრავლის გამო, მოქალაქეებათ ვერ ჩაითვლება. და რაც შეეხება სახლების სიმრავლეს, განა იშვიათია ისეთი სოფელი, რომელიც სახლებს ბლომათ შეიცავდეს? მიუხედავათ ამისა, იგი მაინც სოფლათ რჩება, ქალაქათ ვერ იქცევა და ქალაქის ურთიერთობათა სახეს ვერ იღებს. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფლის ეკონომიური ცხოვრება და ქალაქისა ერთმანეთისგან ძალიან განირჩევა. და სწორეთ ეს სხვა-და-სხვა ნაირი ეკონომიური ცხოვრება არის ძირითადი დამახასიათებელი თვისება როგორც სოფლის ისე ქალაქისა.

ვინც ჩვენებურ სოფლის ეკონომიურ ცხოვრებას და-

კვირდება, შეამჩნევს, რომ აქ ან სულ არა და ან ძალიან ცოტაა შრომის განაწილება. სოფლის ხალხი უმთავრესათ მიწას მუშაობს, სამეურნეო ნაწარმოებებს ამზადებს. თითოეულ ოჯახს აქვს, ცუდია თუ კარგი, თავისი საკუთარი საცხოვრებელი სახლი. მის მიერვე მოწეულ სამეურნეო ნაწარმოებებით ჯერ თავს იკვებავს, ხოლო ზედ-მეტს ყიდის ვაჭრებზე, რომ აქ აღებული ფულით ისეთი საგნები იყიდოს, რომლებსაც იგი აღარ ან ვეღარ აწარმოებს და რომლებიც მას მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ კი ესაჭიროება. ამგვარათ სოფელში ყიდვა-გაყიდვა თუმცა არსებობს, მაგრამ ქალაქთან შედარებით ძალიან სუსტი და მცირე. და სწორეთ ეს გაცვლა-გამოცვლის სისუსტე არის შრომის განაწილების ნაკლებობის მაჩვენებელი. სოფლის ყველა ოჯახები, თუ ზოგადათ ვიტყვით, ძალიან გვანან ერთმანეთს თავიანთი წარმოებით. ერთი იმას აწარმოებს და იწევს, რასაც მეორე და მესამე, ასე რომ მათ ერთმანეთში გასაცვლელი არა აქვთ-რა. გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა მხოლოთ მაშინაა შესაძლებელი, როცა ერთს ისეთი ნაწარმოები აქვს, რომელიც მეორეს არ მოეპოვება, ხოლო ამ მეორეს კი ისეთი, რომელიც პირველს არა აქვს და საჭიროებით კი ესაჭიროება. უამისოთ ყიდვა-გაყიდვა არ იქნება. აბა რომელ გლეხს მოუვა თავში პური პურში გაუცვალოს თავის მეზობელს და ღვინო ღვინოში.

ასეა სოფლის გარემოება. აქ წარმოებაში ერთფეროვნება არის. ამის გამო მწარმოებლები ეკონომიურათ ერთმანეთისაგან დამოკიდებულნი არ არიან. ვთქვათ, სახლი და სარჩო-საბადებელი დაეწვა ერთ რომელიმე სოფლელს. ეს ნიშნავს მხოლოთ მის გაღატაკებას და მევახშის პრჭყალებში ჩავარდნას. ამით, შეიძლება ვთქვათ, მის მეზობელს თითქმის არავითარი ზარალი არ მიეცემა. ეს ისე განაგრძობს ცხოვრებას, როგორც წინეთ უცხოვრია. ეს ისევ ძველებურათ მომკის თავის პურს და დაამზადებს თავის ღვინოს. მეზობლის გაჩანაგება მის გაჩანაგებასაც არ იწვევს და არ იწვევს იმიტომ, რომ იგი არ არის მასთან აღებ-მიცემობითი ურთიერთობით დაკავშირებული.

რადგანაც, ამნაირათ, სოფელში მცხოვრებთა ერთმანეთზე ეკონომიურათ გადაბმა არ არსებობს, ეკონომიური დაკავშირება ნაკლებია, ამიტომ იქაური ცხოვრებაც სადა და მარტივია. მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ სოფლებსაც ეტყობა შესამჩნევი ცვლილება, იქაც ემჩნევა მცხოვრებლებში შრომის განაწილების დაწყება და ურთიერთობათა გართულება, მაგრამ ჯერ ეს მაინც დასაწყისია და სოფლის საზოგადო ნიშნათ ვერ დაისახება.

სულ სხვაა ქალაქური ცხოვრება. თუ სოფლელი ჩვეულებრივ თავის სახლში ცხოვრობს, ქალაქში მცხოვრებთა უმრავლესობას არ მოეპოვება საკუთარი ბინა. თუ სოფელი მეურნეობით არსებობს, ქალაქი მრეწველობით და ვაჭრობით ინახავს თავს. თუ იქ მცხოვრები თავის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებებს საკუთარი ნაწარმოებებით იკმაყოფილებს, აქ მან ყველაფერი სხვისგან უნდა შეიძინოს. თუ იქ ფული შედარებით იშვიათათაა საჭირო, აქ უიმისოთ ერთ ფეხსაც ვერ გადადგამთ. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ წარმოებაში შრომის განაწილება მომხდარა და რომ თითოეული მწარმოებელი თავის მოთხოვნილებათა უმცირეს ნაწილსაც კი საკუთრათ, თავის თანამოქალაქესთან მიუმართავათ, ვეღარ იკმაყოფილებს. თითოეული მუშაობს თავის ფარგალში, თავის ხელობაში, აკეთებს ისეთ ნივთებს, რომლებიც სხვებს ესაჭიროებათ, და მათი გაყიდვით აღებულ ფულით იძენს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც სხვებს გაუკეთებიათ და მას კი ესაჭიროება. ამგვარათვე იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს ისიც, ვინც დამოუკიდებელი მაწარმოებელი არაა, მხოლოთ, ნაცვლათ ნაწარმოებთა, იგი ყიდის თავის საკუთარ ძალ-ღონეს და თავს დღიური ქირით ან მოჯამაგირეობით ინახავს.

ასეთ განწყობილებაში რომ მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება არსებობს, ეს ადვილი დასანახი და გასაგებია. ჩვენ ზევით სოფლელის სახლკარის დაწვა მოვიხსენიეთ მაგალითათ. აქაც ავარივე მაგალითი გავიმეოროთ. ვთქვათ, თფილისში ცეცხლმა გადაწვა ერთი დიდი ტყავის ქარხანა. ვიგულისხმოთ ისიც, რომ ქარხანა დაზღვეული არ ყოფილა, ასე რომ პატრონმა ახალი ვეღარ ააგო,—იგი სრულიად გაკოტრდა. რა შედეგი ექნება ამ მოვლენას?

ისეთი ფართო და მრავალ-მხრივი, რომ, იქნება, ზოგიერთ მკითხველს არც კი ეგონოს. ქარხნის დაწვის გამო იმ მეურნეებს, რომლებიც საქონლის ტყავს ყიდიან, მყიდველი დაეკარგებათ. ტყავის ფასი დაეცემა და, მაშასადამე, მათ შემოსავალი შეუმცირდებათ, სხვა-და-სხვა ვალდებულებათა გაძლოლა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გაუჭირდებათ. გაკოტრებული მექარხნე თავის მუშებს სამუშაოს ვეღარ მისცემს. ესენი უადგილოთ დარჩებიან. სახლის პატრონს ქირას ვერ გადაუხდიან, მეწვრილმანეს ნისიას. პირველი სახლიდან გამოაძევებს, მეორე ნისიათ ძლევას მოუსპობს. წვრილ-შვილებიანი მუშა რჩება უმწეოთ და ვარდება უკიდურეს სიღატაკეში. ამით მეწვრილმანესაც მუშტარი აკლდება, ვაჭრობა უმცირდება, და სახლის პატრონსაც ქირა ეკარგება. მეწვრილმანემ, დანაკარგი რომ შეივსოს, საქონელს ფასი უნდა აუწიოს და სხვა მუშტრებს აზღვევინოს. სახლის პატრონმაც აქ დაკარგული ქირა მერმინდელ მდგმურებს უნდა გადაახდევინოს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. იმ მექარხნეს, რომელიც ცეცხლმა გააკოტრა, უეჭველათ ექნებოდა კრედიტი ბანკებში და კერძო პირებთან. მას, გაკოტრებულს, რასაკვირველია, აღარ შეეძლება თავისი ვექსილების დახსნა. ბანკსაც და კერძო პირებსაც აქ გაცემული სესხი დაეკარგებათ, რამაც, შეიძლება, მათი გაკოტრება გამოიწვიოს. კიდევ კარგი, რომ საქმე აქ შეჩერდებოდეს. მაგრამ ჩვეულებრივ ეს ასე არ ხდება და აქ მაგალითათ მოყვანილი ეკონომიურ მოვლენის შედეგი კიდევ უფრო შორს მიდის. ბანკისა და კერძო ვაჭრების გაკოტრება გამოიწვევს თავის მხრით სხვების გაკოტრებასაც ან მაინც შესამჩნევ ზარალს. და აქ განმეორდება ის, რაც მექარხნის მუშების შესახებ ვთქვათ: ნოქრები დათხოვნილ იქნებიან, მეპოვოზკეებს სამუშაო მოესპობათ, პოვოზკების შემკეთებლებს უქმობა დაუდგებათ და სხვა-და-სხვ. კიდევ დიდ-ხანს შეიძლებოდა ასეთი შედეგების ალნუსხვა. მოვიხსენიებდით, მაგ., იმას, რომ ერთ დიდ ტყავის ქარხნის მოსპობას, დროებით მაინც, შედეგათ მოყვება ტყავის ნაწარმოებებზე ფასების აწევა, მაშასადამე, მომხმარებლებისთვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაძნელება. მოვიხსენიებდით კიდევ სხვა რამეებსაც, მაგრამ გვეშინია მკითხველის თავის მობეზრების და ამიტომ აქ შევჩერდებით.

ნათქვამიც საკმარისი უნდა იყოს იმ აზრის განსამარტებლათ, რომ ქალაქი არ წარმოადგენს მარტო სახლებისა და ადამიანების გროვას. არა, ქალაქი უფრო ფართოთ უნდა განისაზღვროს. ქალაქის სახელი უნდა ეწოდოს ისეთ ვიწრო ფარგლით მოსაზღვრულ ადგილზე მცხოვრებ საზოგადოებას ადამიანთა, რომლებიც მრეწველობა-ვაჭრობას ეწევიან და ერთმანეთთან ეკონომიურ ინტერესებით არიან მჭიდროთ დაკავშირებული.

მაშასადამე, ქალაქი პატარა განსაზღვრულ საზოგადოებას წარმოადგენს. ყველამ იცის, რომ ყოველ საზოგადოებაში, რა პატარაც უნდა იყოს იგი, ასეთი თუ ისეთი წეს-რიგი და მართვა-გამგეობა არის საჭირო. თვით ადამიანთა ერთათ შეგროვება და ერთათ ცხოვრება იწვევს ასეთ საჭიროებას. რაიმე საკომერციო ამხანაგობა აბა რა არის ისეთ საზოგადოება-

სთან შედარებით, როგორსაც ქალაქი წარმოადგენს, მაგრამ განსაზღვრული წეს-რიგი და გვარიანათ რთული მოქმედება მის საქმეების წაყვანასაც უნდება. რაღა უნდა ითქვას ქალაქზე, რომელსაც საზოგადო მოთხოვნილებები მრავალი აქვს და საერთო ინტერესის საქმეები მუდამ გამოულეველი.

თუ ნატვრაზე მიდგება საქმე, სასურველია, რა თქმა უნდა, ქალაქი ისე განიგებოდეს და იმართებოდეს, რომ მის ყველა მცხოვრებთ სარგებლობა და წარმატება ეძლეოდეთ. მაგრამ სურვილი ხშირათ ცხოვრებაში ვერ სრულდება. და აქაც ეს ასე ხდება. როგორი მართველობაც უნდა მიცეთ ქალაქს, რანაირ კაცებსაც უნდა მიანდოთ ქალაქის საქმეების გამგებლობა, ისინი ვერა-გზით ვერ მოახერხებენ ქალაქის საჭიროებათა ისე დაკმაყოფილებას და გაძღოლას, რომ ეს საერთოთ ყველა მოქალაქეთათვის სასარგებლო იყოს. ვერ მოახერხებენ იმიტომ, რომ წარმოების წესის იმ ფორმაში, რომელიც დღეს გამეფებულია, ეს მოუხერხებელი და მოუგვარებელია.

ჩვენ ვთქვით, რომ ქალაქი საზოგადოება არისო და მისი წევრები ერთმანეთთან ეკონომიური ინტერესებით არიან დაკავშირებულნი. მაგრამ ეს დაკავშირება, მოქალაქეთა ერთმანეთისგან ეკონომიურათ დამოკიდებულება სრულიათაც არ ნიშნავს, ვითომ მათ ერთმანეთში ეკონომიურ ინტერესთა შეთანხმებულობა და სოლიდარობა ქონდეთ. რეალურ ინტერესების მხრით ქალაქის ხალხი საერთოთ არ წარმოადგენს ისეთ ერთგვარ მთელს, როგორც, მაგ., საქციო საზოგადოება. აქ შეერთება ნება-ყოფლობით არის მომხდარი, იქ კი ცხოვრების განვითარების ძალ-დატანებით. აქ ყველა წევრებს ერთნაირი ინტერესები აქვთ, ეს ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება; საქციო საზოგადოება ერთათ ეწევა წარმოებას და წლის ბოლოს იყოფს თანასწორათ მოგებას. იქ კი ეს ასე არაა. ქალაქის მცხოვრებლებს არც საერთო შეთანხმებული წარმოება აქვთ და არც გასანაწილებელი ნაყოფი წარმოებისა. მოქალაქენი, მიუხედავათ იმისა, რომ ყველანი ერთი ქალაქის წევრნი არიან, განირჩევიან ერთმანეთისგან ქონებით და სოციალური მდგომარეობით. მათში არიან სხვა-და-სხვა კლასის და წოდების წარმომადგენლები: მემამულეები, ვაჭრები, ნოქრები, ფაბრიკანტები, ხელოსნები, მუშები და სხვ. და რახან დღეს ყველა „enrichissez-vous"-ს (გამდიდრდით!) იძახის და ცხოვრებაში ულმობელათ იბრძვის, ამიტომ ძნელი გასაგები არაა ის, რომ ქონებით მძლავრი კლასი ყოველთვის ცდილობს და ახერხებს კიდეც თავისკენ ბლომათ მოითალოს და სხვებს ნაკლები ულუფა დაუტოვოს. და ასეთ ინტერესთა განხეთქილებაში, ცხადია, არავითარ მართველობას არ შეუძლია ყველას ინტერესები დაიცვას და ყველას სასარგებლოთ იმოქმედოს.

ამ აზრს, გვგონია, განმარტება აღარ ეჭირვება, მაგრამ ჩვენ მაინც მის უფრო ნათელსაყოფელათ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ავიღოთ თუნდა მდგმურებისა და სახლის პატრონების ურთიერთობა ქალაქში. რამდენათაც ქალაქი იზრდება ვაჭრობა-მრეწველობით და მცხოვრებლებით, იმდენათვე მატულობს მასში საბინადრო სახლების საჭიროება, იმდენათვე იწევს და იწევს ზევით ბინების ქირა. მდგმური ყოველ წელიწადს იძულებულია ბინის მომატებული ქირა იხადოს, რადგან სხვა გზა არა აქვს,—უბინოთ ვერ დარჩება და ქუჩაში ვერ იცხოვრებს. სახლის პატრონთან საბრძოლველათ მას არავითარი სახსარი არა აქვს. ყოველ თვის ან ყოველ წლის დასაწყისში მაინც იგი უნდა ელოდეს, რომ სახლის პატრონი ან ქირის მომატებას მოთხოვს და ან სახლის დაცლას. დადგა ვაჭრობისა ან მრეწველობისთვის გაცოცხლების დრო,—მდგმურმა მეტი ქირა ან ჯამაგირი აიღო. რათ უნდა: სახლის პატრონი უდარაჯებს და ამ მომეტებულ შემოსავალს იგი მომეტებულ ქირის საშუალებით წყნარათ ამოართმევს ჯიბიდან. აქ ჩნდება ერთნაირი ბატონ-ყმობა, რომელიც ამ ჩვენ დროში, როცა ყველა კაცში პირადი თვით-ცნობიერება ასე თუ ისე [illegible] ღვიძებულია, მეტათ ძნელი ასატანია. რა უნდა [illegible] ქალაქის მართველობამ? რასაკვირველია, თუ მას ქალაქის მცხოვრებთა დიდძალ უმრავლესობის ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობა სწადია, უნდა ეცადოს იაფ-ფასიან ბინების გავრცელებაზე და ხელი შეუწყოს საზოგადოთ ბინის ქირების დაწევას. მაგრამ ასეთი მოღვაწეობა რომ სახლის პატრონებს შემოსავალს არ გაუდიდებს და მართველობის თავს ვერ შეაყვარებს, ეს მაინცა და მაინც ძნელი გამოსაცნობი არაა.

ერთი სიტყვით, როცა კი საქმე მიდგება ეკონომიურ კითხვებზე და მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, თვითმართველობა, როგორიც უნდა იყოს იგი, ზოგიერთ კლასთა წინააღმდეგობას და უკმაყოფილებას ვერ აცდება. იგი აქ ვერ მოახერხებს ყველას ინტერესების დაცვას და ყველასთვის მატერიალურ სარგებლობის მოტანას. მიუხედავათ ამისა, მაინც ქალაქის თვითმართველობის ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენს მცხოვრებთა უმრავლესობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ზრუნვა და მეცადინეობა, თუნდა ამას უმცირესობა კიდეც ეწინააღმდეგებოდეს. ეს ქონებით შეუძლო უმრავლესობა წარმოადგენს ქალაქის ნამდვილ ძალას თავისი გარჯით და შრომით. ამათი წელში გამაგრება და გაღონიერება ნიშნავს მთელი ქალაქის ეკონომიურ და კულტურულ ძალის გაზრდას და გადიდებას.

მაგრამ ქალაქს, გარდა ეკონომიურისა, სხვა მოთხოვნილება-საჭიროებანიც აქვს. ჩვენ-და სასიამოვნოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოთხოვნილებები ისეთი ხასიათისაა, რომ მათი დაკმაყოფილება ქალაქის ყველა მცხოვრებლებისთვის სასარგებლო და წარმატების მომცემია. ამიტომ მათი დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა და მოღვაწეობა მცხოვრებთა ყველა კლასებში და წოდებებში მოიპოვებს სიმპატიას და თანაგრძნობას. ამ მოთხოვნილებების ორ ჯგუფათ გაყოფა შეიძლება: პირველს ეკუთვნის მცხოვრებთა ჯან-მრთელობის დაცვა და ქალაქის ჰიგიენურათ მოწყობა და მეორეს—ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და, მაშასადამე, სკოლების გამრავლება.

ამ სახით ჩვენ ქალაქის საჭიროებანი სამ ჯგუფათ დავანაწილეთ. ჰიგიენა, სკოლა და ეკონომია,—ამ სამი სიტყვით გამოიხატება, ჩვენი აზრით, ქალაქის მთავარი საჭიროებანი.

შემდეგ წერილებში ამაებზე დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ფ. ბ.

შინაური მიმოხილვა.

ორმოცდაათი წელიწადია, რაც არსებობს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. ასეთი ხანგრძლივი დრო საკმარისი იყო, რომ ხსენებულ საზოგადოებას გარკვეული ფიზიონომია მიეღო და შესაფერი სარგებლობა მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის. მარა ვერ ვიტყვით, რომ ეს შართლაც ასე იყოს. როგორც ჩვენ არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, ხსენებული საზოგადოება მეურნეთა საზოგადოებას არ წარმოადგენს. აქ მოქმედებს და წეერობს უმეტესათ არა მეურნე, არამედ სხვა-და-სხვა სახელმწიფო სამსახურში მყოფნი პირები. ამიტომაც საზოგადოებას აკლია შესაფერი სიცოცხლე და ვერ მოაქვს ის სარგებლობა, რომლის მოტანა შესაძლო იყო. ყველაზე უწინარეს ჩვენ გვესაჭიროებოდა ჩვენი მხრის ყოველმხრივი შესწავლა. თუ არ ვიცით ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, ამ სიმდიდრის თავისებურობა, აგრეთვე სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღების პირობები, მაშინ შეუძლებელია რაიმე ზომის გონიერულათ ხმარებაც. სურვილიც რომ

გქონდეთ, ათასი შეცდომა მოგვავთ და, ვინ იცის, დროსაც ფუჭეთ დაკარგავთ. მხოლოთ ამ ბოლო დროს მიხვდა საზოგადოება ასეთი საგნის საჭიროებას და ისიც თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ჩაგონებით. განიზრახეს სტატისტიკური ბიუროს დაარსება, რომელიც ჯერაც ვერ მოუწყვიათ.

ხუთმეტი წელიწადია, რაც ამავე საზოგადოებამ დაარსა საბალოსნო შკოლა თფილისში. თვით საზოგადოება თავის, ანგარიშში აცხადებს, უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდისაც შკოლამ სასურველათ ვერ მოაწყო თავისი საქმეებიო. მერე რა მიზეზია? იმათ რომ კითხო, მატერიალური სიღარიბეაო, მარა არ მგონია, რომ ეს იყოს მთავარი მიზეზი. შკოლაზე იხარჯება წელიწადში ერთა შუა 15,000 მ...აქ სხვა უფრო დიდი მიზეზიცაა. შკოლა თავიდანვე ვერ დაადგა გარკვეულ გზას, ვერ ჩავარდა ადგილობრივ პირობების კალაპოტში. სამეურნეო შკოლა პრაქტიკული დაწესებულებაა, მას პირდაპირ ცხოვრებასთან უნდა ქონდეს საქმე. ხოლო როგორ გნებავთ პრაქტიკულათ წაიყვანოთ საქმე, როცა შკოლის გამგეთ ამ ცხოვრების სრულიათ არ მცოდნე პირია? ადგილობრივი პირობები მოითხოვს მეღვინეობის შესწავლას, თქვენ გასწავლიან კიტრის თესვას, როცა საჭიროებთ მეაბრეშუმეობის შესწავლას, თქვენ კომბოსტოს გათესიებენ. ამ გვარათ შკოლას აკლია პრაქტიკული მნიშვნელობა და მასთან, რა საკვირველია, ის ვერ დადგება მკვიდრ ნიადაგზე და ვერ მოიპოვის საზოგადოებაში იმ ყურადღებას, რომელიც აუცილებლათ საჭიროა საქმის განვითარებისათვის. ამას თვით ცხოვრებაც გვიჩვენებს. 15 წლის განმავლობაში შკოლა დაუსრულებია მხოლოთ 145 მოწაფეს, ესე იგი წელიწიდში დაახლოვებით 10 კაცს. ღღეს შკოლის საქმე წინა წლებზე უარესათაა და არც იმედია მისი გამობრუნების, სანამ შკოლის ხელმძღვანელნი არ იქნებიან ადგილობრივი პირობების მცოდნენი, სანამ შკოლას ყოველი თავისი ნაბიჯი არ ექნება ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეთანხმებული.

საზოგადოებას თავისი პერიოდული გამოცემაც აქვს, მერე რა? მას თვით წევრნიც ნაკლებათ კითხულობენ ალბათ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებას ამ გამოცემიდან (წეერთ უფასოთ მოსდით) შემოდის მხოლოთ 680 მანათი. ესე იგი ეამოდის, რომ ამ გაზეთს 170 ხელის მომწერი ყავს გარდა წევრებისა. აქაც ალბათ ბევრი დაწესებულებაა, რომელიც მოვალეობის მოსახთელათ იწერს მას. მაშ ვიღან კითხულობს გაზეთს? უნდა ითქვას, რომ გაზეთი მეტათ სუსტი და გამოურკვეველი რამ არის. ის არც წმინდა მეცნიერულ გამოცემას შეადგენს, არც პრაქტიკული ხასიათი აქვს. ერთი უმთავრესი დაბრკოლება ისაა, რომ ის იწერება უმეტესობისთვის მიუწდომელ ენაზე, მეორე მისი ხელმძღვანელნი არიან არა მეურნენი, არამედ მოხელეები. ამიტომაც ყოველ წლივ აქვს დეფიციტი, ანუ უკეთ ვთქვათ, ის იბეჭდება სრულ საზოგადოების ხარჯზე, მაგალ. გასულ წელს გაზეთზე დახარჯულა 3500 მ., მათში კი 2820 მ. საზოგადოების ფული. ძალით ცხონება ძნელია.

* * *

ერთი ფაქტიც ჩვენი კულტურულ სისუსტისა. თფილისში არსებობს რამდენიმე საკვირაო შკოლა. ამას წინეთ ჩვენ დავესწარით ამ შკოლების ხელმძღვანელთა საერთო კრებას. რუსებ მასწავლებელთ აქვთ მშვენივრათ მოწყობილი საკაჟო და საქალებო შკოლები.

ისინიც თავისი ღირსების შეგნებით მოგვითხრობენ, თუ როგორ მოუწყვიათ საქმე, როგორ ასწავლიან საქალებო შკოლაში ღარიბ მოწაფეთ ჭრა-კერვას, როგორ იპერენ მათი შვილიდები ქარგალის ეგზამენს და მით ცხოვრებაში შედარებით გზას იკელევენ. ამავე დროს ვიღაც ეკითხება: ქართველები არაა თქვენ შკოლაშიო? როგორ არა, არიან და ბევრიც არიან. ჩვენ ხშირათ, არც გვესმის ერთმანეთისა, ჩაცნობენ ეკითხებს მასწავლებელი. ამავე დროს მოგვითხრობს: „თავი ქართული შკოლების ხელმძღვანელი. ჩვენ მუდმივ გვაქვს საუბარი ჯანმრთელობაზე, სამშობლოს ისტორიიდან, ვასწავლით გალობას. აქ ამას რომ ამბობს ჩვენი მასწავლებელი, მეორე — მისი ამხანაგი ეგერ გვერდით ეშმაკურათ იცინის. თურმე, ნუ იტყვით, სადაა ან გალობა, ან ჯანმრთელობა? ეს ტყულა, თავის გამოსაჩენათ იყო ნათქვამი. აი, საქმის სიყვარულიც ასე უნდა. უბრალო ანბანიც ვერ გისწავლებიათ, თითო საათი კვირაში ვერ შეგიწირავთ უმეცარი ხალხისთვის. თუ ვინმემ რამე გითხრათ კი, გაიბერებით: „ჩვენ ინტელიგენცია ვართ, ჩვენზეა მომავალი დამკვიდრებულიო“. ღმერთმა ნუ ქნას!

სხვა-და-სხვა ამბები.

ამ ჟამათ იენაში გამოდის მეორე გამოცემა ცნობილ ეკონომისტის პროფესორ ადოლფ ვაგნერის წიგნი: „Agrar — und Industriestaat. Die Kehrseite des Industriestaats und die Rechtfertigung agrarichen Zollschutzes mit besonderer Rücksicht auf die Bevölkerungsfrage“ (აგრარული და ინდუსტრიული სახელმწიფო. უკუღმა—მხარე ინდუსტრიულ სახელმწიფოსი და გამართლება აგრარულ მფარველ ბაჟებისა განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევით ხალხის მოსახლობის კითხვაზე). წიგნს თავში შემდეგი მიძღვნის წარწერა აქვს დართული: „თავის პატივ-ცემულ ქართველ მეგობარს და წინანდელ მოწაფეს, საყვარელ და მსწავლებელ თანამოაგზაურს, სწორეთ ძველებურ სტუმართ-მოყვარეს და აზრ-გონების აღმძვრელ პრაქტიკულ ამხანაგს სპეციალობაში, ბ-ნ დ-რ დავით სარაჯიშვილს, თფილისში, მადლობით უძღვნის ავტორი ადოლფ ვაგნერი“.

წინასიტყვაობის ბოლოში შემდეგი სიტყვები ამოვიკითხეთ ამ მიძღვნის შესახებ: „ეს მეორე გამოცემა—ამბობს ვაგნერი—მე ვუძღვენი ბ ნ დ-რ დავით სარაჯიშვილს, თფილისში, ჩემ ახლო მეგობარს და წინანდელ მოწაფეს, ჩინებულ პრაკტიკულ ეკონომ-მრეწველს და ვაჭარს, რომელსაც სრული თეორიული პოლიტიკო-ეკონომიური ცოდნაც აქვს. ამ ნაწერის თემისთვის და მასთან დაკავშირებულ ძალიან ღრმა სოციალ-მეცნიერულ პრობლემებისთვის მან სწორეთ ბევრი ახალი აზრი აღმიძრა და მრავალი რამ მასწავლა თავისი დალაგებული მასლაათით, რომლსაც იგი ხშირათ იმ საკითხების გამო მოაყოლებდა, რომლებიც მე ჩემ ლექციებში მომიხსენებია და მას ამ უკანასკნელ წლებშიაც ხშირათ მოუსმენია, აგრეთვე იმითიც, რომ მან, ვითარცა ფრიათ საყვარელმა სტუმართ-მოყვარემ, გასულ შემოდგომაზე თავისი კავკასიის სამშობლო მაჩვენა და ეცადა ყოველ გზით იქაური სულ სხვაგვარი ეკონომიური, სოციალური და კულტურული ურთიერთობანი ჩემთვის გაეცნო და შეესწავლებია. ეს იყო ისეთი აზრთა გაღვიძება და სწავლება, რომლის მზგავსი მთელ ჩემ პოლიტიკო-ეკონომიურ შეგნება-შემეცნებისათვის არც წიგნებს, არც „დასავლეთ-ევროპიელებს“ და „დასავლეთ-ევროპის მდგომარეობას“, არც—ჩემგან კი არა და სხვებისგან კი ნამეტნავათ ქებულ—„ჩრდილო-ამერიკის მდგომარეობას“ ამ „უკიდურეს დასავლეთისა“, მაინც ჩემთვის ამ ზომამდი და ასეთი თავისებურობით, არ მოუციათ. თქმულებას „Ex oriente lux“ მრავალ-მხრივი მნიშვნელობა აქვს. ახლა კიდევ ერთხელ შევიგენ ეს“.

ქუთაისის საზოგადოებამ „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მოწოდებით კათოლიკეთა ეკლესიაში გადაიხადა 2

მარტს წირვა და პანაშვიდი მარი ბროსეს სულის მოსახსენებლათ. სიტყვა არავის უთქვამს.

ახალგაზდა ხელოსანმა ივანე ბუთლიაშვილმა გადმოცა „კვალის“ რედაქციას 46 ქართული წიგნი, რომელიც გაეგზავნა ნიგოითის უფასო სამკითხველოს.

ქუთაისიდან გვწერენ: „აქაური ქართულ დრამატიულ დასის თაოსნობით ადგილობრივ თეატრში გადახდილ იქნება ჩვენი ნიჭიერი მსახიობის ვასო აბაშიძის 25 წლის სცენაზე მოღვაწეობის იუბილეი იმავე პროგრამით, როგორც თფილისში. დღესასწაული იქნება ორ დღეს: 14 და 15 მარტს; პირველ დღეს თფილისის და ქუთაისის არტისტების შეერთებულ დასის მიერ წარმოდგენილ იქნება: „რევიზორი“ (მე-3 მოქ.), ტარტიუფი (3 მოქ.), ხათაბალა (3 მოქ.), ხანუმა (2 მოქ.), აპოთეოზი ცოცხალი სურათებით. პირველ წარმოდგენაზე ფასები მომატებული იქნება, ხოლო მეორე დღის—სახალხო წარმოდგენა—იაფ-ფასიანი იქნება. მილოცვები, დეპეშები და დეპუტაციები, როგორც თფილისში, ისე აქაც მიიღება, ვისაც სურს.—იუბილეის თვით იუბილიარი დაესწრება“.

კავკასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების წესდების პროექტი საათანადო მთავრობას უკვე გადაეცა დასამტკიცებლათ.

სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტმა პირველი ჯილდო მიუსაჯა სამოქალაქო ინჟინერის კრიჩინსკისაგან წარმოდგენილ თფილისის სახალხო სახლის პროექტს. ამ პროექტით სათეატრო დარბაზი-პარტერი და ბალკონი მომავალ სახალხო სახლში დაიტევს 602 კაცს; სათეატრო დარბაზზე მიდგმულია საჩაიე ორასი კაცისათვის, სამკითხველო 50 კაცისათვის, წიგნთ-საცავი და წიგნთ საწყობი. სცენა კარგა მოზრდილი იქნება (5+7 საჟენი), აქვს აგრეთვე საპირფარეშო ოთახები, სადეკორაციოები და სხვა. გარეგანი შეხედულება სახალხო სახლისა მეტად მშვენიერია. ეს სახლი, როგორც ვიცით, კ. ი. ზუბალაშვილის სახელზე შენდება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ახალმა უფროსმა ივანოვსკიმ შემდეგი ბრძანება გამოსცა: შევუდეგ რა ჩემის მოვალეობის ასრულებას, ზედმიწევნით გავიცნობ ჩემ მრავალ ხელქვეითთა საჭიროებას, როგორც შეფერის უფროსს, რომელსაც მინდობილი აქვს მათზე ზრუნვა. ნაცვლათ ამისა, მოვითხოვ მოსამსახურეთაგან თავ-თავიანთ მოვალეობათა სინიდისიერათ ასრულებას. საზოგადო წვრილმან დანაშაულობისათვის არავინ დაისჯება, მაგრამ არ მოვუთმენ არავის უპატიოსნოთ და უსინდისოთ თავის მოვალეობის ასრულებას.

ფულით დაჯარიმებას სრულიად ვსპობ და ნაცვლათ ამისა დანაშაულობისათვის რკინის გზაზე მოსამსახურეთ მიეცემათ შენიშვნა, სასტიკი შენიშვნა, გამოეცხადებათ, რომ დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან და გადაიყვანებიან მცირე ადგილზე.

იმათ შესახებ, რომელნიც მატარებლებზე მსახურებენ, დანაშაულობას გამოიძიებს ცალკე, ჩემ მიერ დანიშნული, კომისია, რომლის დადგენილებას მე განვიხილავ და დავამტკიცებ.

დანაშაულობისათვის სამსახურიდან დაითხოვენ ან გადაყვანილ იქნებიან დაბალ ადგილზე მხოლოთ კომისიის მიერ დანაშაულობის გამოკვლევის შემდეგ, რაც ჩემ მიერ იქნება განხილული და დამტკიცებული.

სამსახურიდან დროებით გადაყენების უფლება აქვთ განყოფილებათა უფროსებს, დანაშაულობის გამოკვლევისა და ჩემ მიერ დამტკიცებამდე.

თვით მმართველობაში და რკინის გზით მიმოსვლის დროსაც ყველას, განურჩევლათ დიდისა და პატარისა, თამამათ შეუძლიან მომმართონ თხოვნით.

კორესპონდენციები.

დ. სამტრედია. სამტრედიელები თითქმის მოკლებული არიან ყოველგვარ გასართობ-გასანვითარებელ დაწესებულებებს.—ამ სიცოცხლით სავსე დაბაში, წარმოიდგინეთ თქვენ, ერთათ-ერთი შესამჩნევი, ნაყოფიერი სასწავლებელიც არ არსებობს, როდესაც მაზე უფრო ღარიბ დაბებსაც გაცილებით უკეთ აქვთ სწავლის საქმე მოწყობილი. საკვირველია, თუ რათ ეგრე გულ-ცივათ ეკიდებიან ამ დაბის მცხოვრებლები სწავლა-განათლების შემოღებას. სამტრედიელებს სამკითხველოც აქვთ, მაგრამ რომ მაში შეხვიდე, მკითხველო, იტყვი: „ეს სამკითხველო კი არა, გაკოტრებული მაღაზია არისო,“ იქ დაინახავ დაფლეთილ წიგნაკებს და ორიოდე გაზეთს. სამკითხველოს მეთვალყურეს ხშირათ ოთახში წამოწოლილს დაინახავ ნაღვლიანათ მოღიღინეს, თითქო სამკითხველოს ცუდი მდგომარეობა იმასაც ანაღვლიანებსო; მკითხველ საზოგადოებას პატივცემული მეთვალყურე, მგონი, ძალიან ძვირათ აქცევს ყურადღებას, როგორც ჩემთან გამოიჩინა. სამკითხველოს ძალიან ცოტა მკითხველი საზოგადოება ყავს.

ილია ბახტაძე.

დ. ზესტაფონი. 27 თებერვალს მოხდა ზესტაფონის წიგნთსაცავ-სამკითხველოს საზოგადო კრება ანგარიშის განსახილველათ და გამგეობის ასარჩევათ. ანგარიშის განხილვა შეუძლებელი ხდებოდა, როგორც სარევიზიო კომისიამ მოახსენა კრებას, საზოგადოებამ კი მაინც დაამტკიცა. შემოსავალი აღემატებოდა გასავალს 130 მანათით, რომლიდანაც 53 მანათი გადადებულია შენობის ასაგებ თანხისათვის.

ისეთი კაცი, რომელსაც სამკითხველოსათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია თხოულობს „გამგეობის წევრათ მაინც ამირჩიეთო“. ამ ნაირათ გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ძველი თავმჯდომარე, ხოლო გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნენ ქ-ნი ანნა ჩირგაძე, ბ. გელენჯერიძე, ნოე ჩხეიძე და ვ. არდიშვილი; უკანასკნელმა უარი განაცხადა.

ვ. —ძე.

საჩხერე. იანვრიდან დაიწყეს სად. დარკვეთიდან საჩხერემდე რკინის გზის მუშაობა. მუშაობა ისე სწრაფათ წარმოებს, რომ, მოსალოდნელია, წელიწად-ნახევარში ორთქლ-მავალმა საჩხერის მიერუებულ მიდამოებს დაკივლოს და გამოაფხიზლოს საღათას ძილს მიცემული ხალხი.

იანვრიდანვე დაგვიარსდა საჩხერეში ამხანაგობა „საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობისა“; ამხანაგობას მომავალში წიგნის მაღაზიის გახსნაც სწადია—მხოლოთ ჯერ-ჯერობით საკანცელარიო ნივთებითაც ვერ იწყებს ხეირიანათ ვაჭრობას: დუქანი ისეთი ძვირფასი საკანცელარიო ნივთებით აავსეს, რომელსაც აქ გასავალი არა აქვს., მაგ. კალმის ტარი თითო ფასობს 45—60 კ., საწერლები 1—2 მ., დანები—50 კ.—1 მ., კარანდაშები 15—50 კ. და სხ. სამაგიეროთ შკოლებისათვის საჭირო რვეულები კი ძლიერ იაფ-ფასიანებია და ისეთი სიფრიფანა ქაღალდისა, რომ მათზე წერა მოსწავლეთათვის გასაჭირია. ასეთი ჩვეულებით ხომ აქაური მედუქნეებიც გვიმასპინძლდებოდენ ამოდენი ხანიც. ამხანაგობის სიმპატიურ აზრს შეადგენს ვაჭრობით მოგების 20% ბიბლიოთეკის სასარგებლოთ გადადება, მაგ, ვეჭვობ, ამხანაგობამ მარტო საკანცელარიო ნივთების

ვაკრობით იმოდენა მოიგოს, რომ წელს (ესი 10 მან.) სარგებელი წელიწადში სამი-ოთხი მანათი მიცეს და 20%-ტ ბიბლიოთეკას უწილადოს, რადგან ყველა აქური მედუქნე ყიდის საკანცელარიო ნივთების და საჩხერეში კი კერ-კერობით იმოდენა მოთხოვნილებაა.

ვერ ვეღირსეთ აქური ქუჩების გასუფთავება-შეკეთებას. ბოქ�-ული ზოგიერთნის დროს გაკეთებული ქუჩები წახდა, თხოულობს ხელახლათ გაკეთებას, მარა თავს არავინ იწუხებს. შემოდგომა-ზამთარში ტალახი და ერთ ადგილს „ბალიასტომის“ ტბა გვწუხებს და აწი კი წესვისა და ძოვრის სუნი დაგვარჩობს. ეს ინტისანიტარული მდგომარეობა ქუჩებისა ამ გაზაფხულ-ზაფხულზე რამე სენს გაგვიჩენს, და გვიან იქნება „თითზე კბენანი“.

მეექვსე თვეა, რაც უქმობთა ვართ, და ვინ მოთვლის, რამოდენი უბედურება მოხდა აშ ხნის განმავლობაში: ანთებით, შშობიარობისგან და მოარული ავთმეოფობით იხოცება ხალხი და მშველელი კი არავინაა; თუმცა მაზრის ფერშალი აქა დებინაებული, მარა ერთი კაცი რას გაუყა ამოდენა ხალხს.

აქაური ვაკრები უქმე დღეებშიც ისე ვაკრობენ, როგორც უბრალო დღეს, რის გამო ძლიერ იჩაგრებიან დუქნებში მცირე წელიწადი მოსამსახურე ბავშვები და ნოქრები. მთელი კვირის შრომის შემდეგ ნუ თუ დირსი არ არიან ისინი ერთი დღის დასვენებისა?

საუულიელი.

ᲡᲜᲝ (ხევი). აუსრულდათ ერთი გულითადი სურვილი ამ სოფლის მცხოვრებლებს და მოუვლათ მეორე მასწავლებელი ქალი, ქანი ეფროსინე ბაკურაძე, რომელმაც წელს დაამთავრა თბილისის ეპარქიალური სასწავლებელი. ასე რომ ახლა უკვე ამ სოფლის შკოლაში ორი მასწავლებელია ბერველ და მეორე განყოფილებაში. შეგირდების რიცხვი ორივ განყოფილებაში 100-მდეა. ორმოცამდის ბავშვს უარი განეცხადათ მიღებაზე უადგილობის გამო. იმის მიუხედავათ, რომ სულ მოკლე ხანა, რაც ეს შკოლა დაარსდა, მაინც ზოულობენ ათ წასდგა წინ ფეხი და ადგია განვითარების გზას. რასაკვირველია, ამ მოვლენას, როგორც სხვას, ცხოვრებაში თავისი მიზეზი უნდა ქონდეს: საქმე იმაშია, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი სახნავ-სათესი მიწის უქონლობისა გამო ძლიერ შეგიწროებულნი არიან, მასთან საქონლის წარმოებაც ისევ ძველებურათ წარმოებს, ასე რომ მცხოვრებნი, მოკლებულნი ამ მხრით ამ პირობებში ცხოვრების წესრიგს, ისევე არ მისწებებიან სად კედლებს, როგორც მიკვრიან და ველარ მოშორებიან ქართულ-კახეთში მამა-პაპათა ზნე-ჩვეულების სასტიკათ დამცველნი გლეხნი თავიანთ მამა-პაპათვე ნაანდერძევს, მინდორ-ტყესა და ველსა. მე მინდა ის ვთქვა, რომ აქ მოხვეული სოზოკადოთ და კერძოთ ამ სოფლის მცხოვრებს არ სძინავს; მას უკვე შეუგნია, რომ ცხოვრება გართულდა,—რომ მეტი გამჭრიახობა, მეტი დაკვირვება, მეტი მეცადინობა და ბრძოლა არის ცხოვრებაში მისთვის საჭირო. და აი ისიც თამამთ ტოვებს სამშობლო ადგილს და სიხარულით მიისწრაფის იქითკენ, სადაც მას ეცხოვრება, სადაც ის მოიპოვებს გონების საზრდოს ცხოვრების მიერ, ასევე მოიპოვებს საზრდოს კუჭისას. მაშასადამე, თუ ამ სოფლის მცხოვრებთათვის აუცილებელი შექმნილა წასვლა იქ, სადაც მათ უფრო ადამიანურათ ეცხოვრებათ, ესეც ხომ აუცილებელი შეექმნებოდა, რომ ისინი წასვლამდის უნდა მომზადდენ და ადიჭურვონ იმ იარაღით, რომელი იარაღიც აუცილებელია მათთვის და ურომლისოთაც ისინი ძნელათ მიაღწევენ თავიანთ აღნიშნულს მიზანს. მე მოგახსენებთ წესიერ წერა-კითხვის ცოდნაზე. სწორეთ ეს აუცილებლობა არ გამოპარვიათ ამათ და აი სწავლის შესახებ რას ამბობენ ესენი: „ჩვენთვის შკოლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მხოლოთ შკოლა არა ერთ კლასიანი, არამედ ორ კლასიანი; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთ-კლასიანი შკოლა ვერ მიცემს ბავშვს ცოტათ თუ ბევრათ წერა-კითხვის საფუძვლიან ცოდნას და ვერც იმ ნიადაგს, რომ ბავშს შკოლის გათავების შემდეგ, სადაც უნდა იყოს იგი, ცხოვრებაში რამე შესამჩნევი მომზადება ქონდეს. ამისთვის, ჩვენ შრომას, დახმარებას და ეოველი მხრით თანაგრძნობას ჩვენ შკოლისადმი საზღვარი არ ექნება, თუ რომ აწ არსებულ ერთ-კლასიან შკოლას მთავრობა ორ-კლასიანად გადაგვიკეთებს“. აი ასეთი ფხიზელი მსჯელობის [illegible] მოება, რომ ეს მეორეთ გაგზავნეს ამ წლის თებერვლის 12-ში კოდექტიური თხოვნა სადაც ჯერ არა, რათა მათი შკოლა იქნეს აუცილებლივ ორ კლასიანათ გადაკეთებული, თუ რომ მთავრობას სურს ამ საზოგადოების კეთილდღეობა. დიახ, თუ რომ კახეთში, სოფ. აწეურში ათი წლით არსებული ორ-კლასიანი შკოლა ერთ კლასიანათ უნდა გადაკეთდეს (ესეც ოქვენი ბრაგრესი!), აქ ორი წლით არსებული ერთ-კლასიანი შკოლა ორ-კლასიანათ უნდა გადაკეთდეს. აწეურის საზოგადოებისა კი რა მოგახსენოთ; ის ან თავზია უთუოთ, რომელსაც სოფელი ბევრი აქვს, მხოლოთ ბირი წელით აქვს საგანი. ან არა და თქმა კი შეუძლიან, არაფერი არ უშლის, მხოლოთ არ

-ბარაკობს მისთვის, რომ თვისი შკოლის რეფორმა სრულიად ნორმალურ მოვლენათ მიაჩნია. ამ სნოს საზოგადოების შესახებ კი უნდა ვთქვა, რომ ისეთ თავგანწირულებას დაუდგრომელ შრომას სიტყვით თუ საქმით შკოლისადმი, მე ვგონებ, რომ ჩვენში ბევრი საზოგადოება ვერ გამოიჩენს. მოსალოდნელია, რომ მთავრობაც დაკმაყოფილებს მათ სურვილს.

—ი.

საზღვარ-გარეთ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ამას წინათ ბერლინში და შარლოტენბურგში ბოლიციამ დაიჭირა რამდენიმე ბოლონელი სტუდენტი. ბოლიციის ეურადღება სტუდენტებს იმით მიექცია, რომ სტუდენტები ისხდენ რესტორანში და „ლუდს ბევრს არა სვამდენ“. ამის გამო ბოლიციამ გაჩხრიკა დაჭერილ სტუდენტების ბინა, იპოვეს რამდენიმე ბოლონური ბროშურა და წიგნები და თუმცა სტუდენტები მეორე დღესვე გაანთავისუფლეს, მაგრამ ამ შემოხვევამ მინისტრ კულტურაინ მისცა მიზეზი წარმოეთქვა კანაკიცხი სიტყვა ბოლონელთა აგიტაციის შესახებ სტუდენტებ შორის. თითქმის ამავე დროს ლეიპციგის უნივერსიტეტის სენატმა გაგზავნა წინადადება გერმანიის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში, რომ საერთო ხმით ითხოვონ მთავრობასთან, რათა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ადარ მიიღონ რუსეთის გიმნაზიებში კურს დამთავრებულნი, რადგანაც მა „არა სასურველი მიმართულება შეაქვთ უნივერსიტეტშიო“. როგორც ვხედავთ თვით ბრეფესორებმაც მისცეს მხარი გერმანიის მთავრობის ბოლიტიკას კერძოთ ბოლონელების და საზოგადოთ უცხოელ სტუდენტების განდევნის შესახებ უნივერსიტეტებიდან. სამწუხაროთ ასევე იქცევა გერმანიის ახალგაზდობაც, რაც ჩანს იმ არეულობიდან, რომელიც მოახდინეს გერმანელ სტუდენტებმა წინააღმდეგ ბოლონელ სტუდენტებისა, რომელთაც ბრეტესტი გამოუცხადეს ბრეფესორ შიმანს, რადგან ეს ბრეფესორი კითხულობდა განგებ ტენდეციურ ლექციებს ბოლონეთის ისტორიის შესახებ.

გერმანიის მთავრობა და საზოგადოება მარტო სტუდენტების დევნით არა კმაყოფილდება. ამას წინეთ გაჩხრიკეს 17 გიმნაზიელის ბინა. ბოლიციამ წაიღო მრავალი ბოლონური წიგნი და „კასსა“ 40 მარკით. მოსალოდნელია, რომ ადიძრება ახალი ბოლიტიკური „ბროცესი“. საინტერესოა აგრეთვე გნაზნინის ბროკურორის მიერ აღძრული ბროცესი ფოტოგრაფ ფურანკისა და ვაკრ ვინნიცკის შესახებ, რადგან მათ დაბეჭდეს კაესენის ბროცესის გამო გასამართლებულ ქალ. ბიასეტკის სურათი და ხალხში ავრცელებენ. გაზ „Nowa Ret.“-ის გერმანიის მთავრობამ აღუკრძალა ორი წლით გერმანიის საზღვარზე გადაცილება, რადგან ამ გაზეთმა დაბეჭდა მოწოდება სენკევიჩისა იმავე ვუესენის საქმის გამო.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ბურების წინამძღოლის შეპერსის სიკვდილით დასჯის გამო ირლანდიის ნაციონალისტმა დეპუტატმა ნეილმა გაკიცხა მთავრობა, რომ შეპერსი სიკვდილით დასასჯელათ წაიყვანეს გოსპიტალის ეტლით, რომ შეპერსს არ მისცენ ნება ფეხდგომელი მოკვდარიყო, არამედ ის მიაბეს საგარძელზე და დაუშინეს თოფი ათ

ნაბეჯის მარძიდიდან, ოთეის გრიალის შემდეგ საგრძელი და მაზე მიბმული შესვერილი ნაჯერ-ნაჯერ გაიფენტეს აქეთ-იქით. შეჯერსის ნაშთი ჩაგდეს იქვე ოხრიდში. მოწყონა თუ არა კიტჩენერმა ასეთი მოქმედება შეჯერსის შესახებ? იკითხა ნეიდმა.

ბროდრიკმა უპასუხა, რომ მან ამის შესახებ არა იცის რა. და თავის მხრივ შეეკითხა ნეიდს, საიდან შეკრიბა მან ეს ცნობები. ნეიდმა არ უპასუხა ამ კითხვაზე. ლიბერალმა ბირიმ იკითხა, შეეკითხება თუ არა მინისტრი ამის შესახებ კიტჩენერს, რათა ჯარს ეცადოს თავს ამისთანა ბრალდებაო. ბროდრიკმა არა უპასუხარა.

ირლანდიის შეერთებულმა ლიგამ ისე გაუწირა სქმე ინგლისს, რომ ის იძულებული შეიქნა გაეგზავნა ირლანდიაში ერთი ბატალიონი ჯარი. ეს ჯარი სამხრეთ აფრიკაში წასასვლელათ იყო დანიშნული.

შეერთებული ლიგა თანდათან ავართოებს თავის მოქმედებას. მეკრეთა და ბოიკოტით მოიჯარადრენი აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენეს. 11 მოიჯარადრეთა ოჯახს მუდამ ჰოლიციის ყარაულები უავს დაყენებული დასაცველათ. 8 მოიჯარადრეს ვერ უშოვია ვერც საქონელი და ვერც ხელოსნები სამუშაოთ. სლიგოს საგრაფოში 26 ფერმას ბოიკოტი მოუხდინეს, ამათგან 11 მთლათ დაცარიელდა.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. გაზ. „Mon. Ott.“-ს წერენ სალონიკიდან: ამ წინაზე ოსმალეთის ერთმა გარნიზონმა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მთავრობისაგან ვერ იღებდა ჯამაგირს, ამბოხება მოახდინა. გარნიზონის უფროსს უნდოდა შეეტეო მეამბოხეთა მეთაურების ვინაობა. ამიტომ მან შეკრიბა უნტერ-ოფიცრები, ოფიცრები და დარწმუნა ისინი, რომ მათ ჯამაგირის მიუღებლობაში დამნაშავე მთავრობა კი არაა, არამედ ხალხი, რომელიც თავის დროზე არ იხდის სახელმწიფო ხარჯს. ჯარის უფროსებმაც მართლაც დაიჯერეს გარნიზონის უფროსის სიტყვა, გადაცეს ეს ჯარსაც და გაუძღვენ რა მათ წინ, შეესიენ საწყალ ხალხს, რომელიც უწყალოთ დაარბიენ, აოხრეს და სტანჯეს. ხოლო როდესაც სალონიკის გუბერნატორმა გაიგო ეს ამბავი და ატანობა იღლიზ-კიოსკში უმადლეს მთავრობას, რომ დესჯათ ხალხის ასე უწყალოთ მტანჯველნი, მან მიიღო ბრძანება წარედგინა ის ოფიცრები, რომელნიც უფრო „მამცათ“ იქცეოდენ ხალხის აოხრებაში. სულთანის ფირმანით ყველა ეს ბირნი დაჯილდოვებულ იქმნენ ზოგი ჩინში წარმატებით და ზოგიც ორდენით.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲤᲠᲘᲙᲐ. მოგვაქვს უფრო დაწვრილებით ცნობები ლორდ მეტუენის ჯარის დამარცხების შესახებ კლერკსდორპთან „ნოვ. ვრ.“-ს კორესპონდ. 26 თებერვალს: „გენერალ-ლეიტენანტი ლორდი მეტუენი, ხუთი ზარბაზანი და 1,000-მდე ჯარის-კაცი დაუტყვევებია დელარეის. ბირველ შეტაკებისთანავე ცხენოსანი ჯარი გაქცეულა და 4 თოფის მანძილზე უკან მიდევდენ მას ბურები. კიტჩენერი თავის მოხსენებაში კიცხავს გაქცეულებს და ქებით იხსენიებს რაზმის დარჩენ ნაწილს, რომელმაც გმირულათ იბრძოლაო. მაგრამ ინგლისელ ჯარის-კაცებში მოკლულია მხოლოთ ორმოცი. მეტუენის რაზმი გაგზავნილი იყო დელარეის წინააღმდეგ, როცა ამ უკანასკნელმა 14 თებერვალს გაიმარჯვა ინგლისელებზე. ინგლისელების მეორე რაზმი, დელარეისავე წინააღმდეგ გაგზავნილი, ბრძოლის ველიდან ახლო იყო, მაგრამ მეტუენს ვერ მიშველებია. ეხლა შიშობენ, რომ მეორე რაზმიც დელარეის მსხვერპლი გახდება. მეტუენის დამარცხების ამბავმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ორივე პალატის წევრებზე. ლორდები და დეპუტატები დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ლორდ მეტუენს ამ უბედურების გამო და ქებით იხსენიებენ მის წარსულს. სამეგიეროთ ირლანდიელები ხარხარით შეხვდენ ინგლისელების გაქცევის ამბავს და სახარულის კიეთნით მიიღეს მეტუენის დამარცხების ამბავი. ინგლისელები მეტათ გაბრაზებულნი არიან ირლანდიელებზე და ამბობენ, რომ თავიანთ ქცევით ამათ საუკუნოთ დაკარგეს ჭიმრულიო.

დელარეის ეველა გაკვირვებია და პატივისცემით უცქერის ეხლა ინგლისში. რობერტსი დარწმუნებულია მის სულგრძელობაში. პარლამენტის კარიდორებში ხმა-მაღლა ამტკიცებენ, რომ ასეთი დამარცხება უსაშინელესი და უმნიშვნელოვანესია ომის-ობიდან. ყველას უკვირს ის გარემოება, რომ ბურებმა ინგლისელ მეტრზე იერიშით მისვლა და მათი დევნა, მაშინ, როდესაც ინგლისელები თავის დაფარვას ვერ ახერხებენ. ყველა იმ აზრის არის, რომ ამ დამარცხების მიზეზით ომიანობის გათავება მეტათ შორეულ დროისათვის გადიდოდ.

---

* * *

რაც უფრო მეტათ გავეცან სოფელს,
მით უფრო წყლულმა მიმატა დენა:
ივსება გული მწარე ბალლამით,
ტანჯული, სევდამ არ მომასვენა;
ჯერ არ ვიცნობდი სოფლის ტრიალსა,
ყველა მეტყველი კაცი მგონა,
მაგრამ ვცდებოდი თურმე ბეჩავი,
ისარი ბასრი გულს განმეწონა!
მიყვარდა ყველა, მიყვარდა, ვით ძმა,
სამაგიეროს მათგანც ველოდი,
ყველას სიკეთეს, ყველას საამურს
ჩემი ძალ-ღონით მუდამ ვცდილობდი.
ეხლა კი შეხეთ, რა არის ესა!
უსამართლობა, ყველგან ფლიდობა;
იქ გულში კბენა, თავზე ხელის სმა,
აქ მოძმეთ შური, მოძმეთა მტრობა.
დღეს გეფერება, ხვალ გითხრის საფლავს
შენი სიკეთე უკვნესებს გულსა;
როცა კარგი ხარ, მაშინ გიმოყვრებს
და წიხლსა წაგკრავს წაჩოქებულსა.
ძნელი ყოფილა პოვნა კაცისა,
მალულათ რომ არ იკბინებოდეს,
კეთილს მიემხროს, ბოროტი სდევნოს
და დაცემულებს თანაუგრძნობდეს.

ნინო.

ᲓᲝᲡᲢᲔᲑᲘ.

მ. გორკისა.

ერთ მათგანს იცეკვე-ფეხო ერქვა, მეორეს — მსასოებელი, ხელობით კი ორივენი ქურდები იყვენ.

ისინი ცხოვრობდენ ქალაქის გარეთა უბანში, სადაც საბლები ხევში უცნაურათ იყვენ გაფანტულნი; ერთ იმ ძველ ქოხმახთაგანში იდგენ, რომლებიც თიხისა და ნახევრათ დამპალი ხისაგან იყვენ შეკოწიწებული და ხევში ჩაყრილ ნაგვის გროვებს მიგავდენ. საქურდლათ „დოსტები“ ქალაქის მახლობელ სოფლებში დადიოდენ, რადგანაც ქალაქში ძნელი იყო ქურდობა, სოფელში კი მეზობლებს მოსაპარავი არა ებადათ.

ისინი მშვიდი და ფრთხილი ბიჭები იყვენ: — მოიპარავდენ ტილოს ნაჭერს, ჩოხას ან ცულს, ცხენის იარაღს, პერანგს ან ქათამს და მერე დიდხანს აღარ იხილავდენ იმ სოფელს, საიდანაც მოახერხეს „აწაპნა“. მაგრამ მიუხედავათ ამ ჭკვიანურ მოქმედებისა, ქალაქ გარეთ მცხოვრები გლეხები მათ კარგათ იცნობდენ და ემუქრებოდენ, შემთხვევის დროს სიკვდილამდე მიგაგდებთ ცემითაო. მაგრამ ამისთანა შემთხვევა გლეხებს არ ეძლეოდათ, და ჩვენი დოსტები ისევ ჯანსალათ ბრძანდებოდენ, თუმცა აგერ ექვს წლამდეა ისინი ისმენდენ გლეხთა მუქარას.

იცეკვე-ფეხო იყო ასე ორმოცი წლის კაცი, მაღალი, წელში მოხრილი, გამხდარი და ძარღვ-მაგარი. ის თავ-ჩაქინდრული დადიოდა, სიარულის დროს გძელი ხელები უკან ეწყო

ხოლმე, ნაბიჯი აჩქარებული, მაგრამ განიერი ქონდა, და მუდამ აქეთ-იქით იცოდა ცქერა თვისი მზრუნავი, დაუდგრომელ-გამჭვრეტი თვალებით, თმას იკრეჭავდა, წვერს იპარსავდა; ხშირი, ჭაღარა შერთული, ჯარის კაცისებური ულვაშები ფარავდენ მის პირს და მის სახეს რაღაც აჯაგრულ მკაცრ გამომეტყველებას აძლევდენ. მარცხენა ფეხი მას უსათუოთ ან მოტეხილი ქონდა, ან ნაღრძობი და ისე შეხორცებოდა, რომ მარჯვენაზე უფრო გძელი გამხდარიყო; გადაბიჯების დროს, როდესაც ის ფეხს მაღლა ასწევდა ხოლმე, ფეხი ჯერ მაღლა შეხტებოდა, მერე აქეთ-იქით დაიწყებდა თანთალს; ამ განსაკუთრებული სიარულის გამო მას დაარქვეს მეტი სახელი.

მსასოებელი ასე ხუთი წლით უფროსი იყო ამხანაგზე, ტანით იმაზე დაბალი და ბეჭებში განიერი. მაგრამ ის ხშირათ და ყრუთ ახველებდა და მისი ძვლებ გამოწეული სახის ავათ-მყოფურ სიყვითლეს ფარავდა დიდი, შავი, ჭაღარა შერთული წვერი; თვალები მას დიდი, შავი ქონდა, ყველაფერს კი დამნაშავესავით და ალერსიანათ უყურებდა. სიარულის დროს თავის დიდ ტუჩებს კუმავდა და ნელი ხმით უსტვენდა რაღაც კაეშნიანს, მუდამ ერთსა და იმავე სიმღერის კილოს. მხრებზე მას უთანთალებდა სხვა-და-სხვა ფერ ძონძთაგან შეკერილი ჩასაცმელი—რაღაც ბამბის პიჯაკის მინაგვარი; იცეკვეფეხო კი გძელი, სარტყლით შემორტყმულ ნაცრის ფერ ხიფთანში გამოწყობილი დადიოდა.

მსასოებელი გლეხი იყო, მისი ამხანაგი—ეკლესიის მსახურის შვილი, ფარეშათ და ბილიარდის მოთამაშეების მოსამსახურეთ ნამყოფი. მათ მუდამ ერთათ ხედავდენ და მათი დანახვის დროს გლეხები იტყოდენ ხოლმე:

— კიდევ გაჩნდენ დოსტები... ორივეს უცქირე!

— ოხ, ეშმაკები!

— და როდის ჩაიღრძობიან?!

დოსტები კი მიდიოდენ სასოფლო გზით, აქეთ-იქით გამჭრიახათ აცეცებდენ თვალებს, ცდილობდენ არავინ შეეროდათ. მსასოებელი ახველებდა და თვისი სიმღერის კილოს უსტვენდა; მისი ამხანაგის ფეხი კი ცეკვამდა ჰაერში, თითქოს ისწრაფის მოსწყდესო და თვისი პატრონის სახიფათო გზას გვერდზე გაექცესო. ან იწვენ ხოლმე ისინი სადმე ტყის პირას დიკის ყანაში, ხევში და ნელა ბაასობდენ იმის შესახებ, თუ როგორ შოეპაროთ რამ და დაეიკმაყოფილოთ კუჭიო.

ზამთარში თვით მგლებიც კი, რომლებიც, ჩვენ მეგობრებთან შედარებით, ცოტათი თუ ბევრათ უკეთ არიან მომარჯვებულები სიცოცხლის დასაცველ ბრძოლისათვის,—ცუდათ ცხოვრობენ. გამხდარნი, მშიერნი და გაბოროტებულნი დაწანწალებენ გზებზე და, თუმცა მათ ხოცვენ, ეშინიათ მაინც მათი: მათ აქვთ თავის დასაცავათ ბრჭყალები და კბილები, უმთავრესი კი ის არის, რომ მათი გული არაფრით არაა მორბილებული. ეს უკანასკნელი ძლიერ საყურადღებოა, რადგანაც, არსებობისათვის ბრძოლაში კაცმა რომ იმარჯვოს ხოლმე, მას ან უნდა დიდი ჭკუა ქონდეს, ან ძხეცის გული.

ზამთრობით დოსტების საქმე ცუდათ იყო ხოლმე; ორივენი ხშირათ საღამოობით გამოდიოდენ ქალაქის ქუჩებში და მოწყალებას თხოულობენ, თან ცთილობდენ პოლიციას თვალი არ მოეკრა მათთვის. ძალიან იშვიათათ გაუღიმებდა ხოლმე ბედი ქურდობაში; სოფლებში სიარული მოუხერხებელი იყო, რადგანაც ციოდა და თოვლზე კვალი რჩებოდა. გარდა ამისა უსარგებლო იყო სოფლებში სიარული, როდესაც იქ ყველაფერი დაკეტილში ქონდათ შენახული და თოვლით იყო დაფარული. ზამთარში შიმშილთან ბრძოლის დროს ბევრ ძალას კარგავდენ დოსტები და იქნებ მათზე ხარბათ არავინ არ მოელოდა გაზაფხულს...

აი, ბოლოს, გაზაფხულიც ახლოედებოდა. ძალა-გამოლეულნი და ავათ-მყოფნი დოსტები ძვრებოდენ თავიანთი ხვრეტიდან, მხიარულათ მიჩერებოდენ მინდვრებს, სადაც ყოველ ღამეს შემდეგ უფრო სწრაფათ დნებოდა თოვლი, აქა-იქა თოვლ შუა შავ-მოწითლო გამშრალი ალაგები ჩნდებოდენ, გუბეები სარკესავით ელვარებდენ და რუები მხიარულათ მოწანწკარებდენ. მზე თვის უანგარო ალერსს აქცევდა დედა-მიწაზე და ორივე მეგობარი თბებოდენ მისი სხივებით, თან იმის მსჯელობაში იყვენ, თუ როგორ ჩქარა გაშრება მიწა და, ბოლოს, როდის იქნება შესაძლებელი სოფლებში საქურდლათ წასვლაო. მსასოებელი, რომელიც უძილობით იტანჯებოდა, ხშირათ დილა-ადრიანათ აღვიძებდა თვის მეგობარს და მხიარულათ უცხადებდა მას:

— ჰეი! ადექი... ჭილყვავები მოფრინდენ!

— მოფრინდენ?

— მოფრინდენ?

— ღმერთმანი! გესმის, როგორ ჭყივიან?

გამოვიდოდენ-რა თავიანთი ქოხიდან, ისინი დიდ-ხანს გულის-ყურით ადევნებდენ თვალს, თუ როგორ აშენებდენ ახალ ბუდეებს და ძველებს ასწორებდენ. გაზაფხულის შავი მახარობლები თან ამ მოუსვენარ მუშაობის დროს ჰაერს ავსებდენ თავიანთი ხმა მაღალი, მზრუნავი ჟივილ-ხივილით...

— ეხლა ტოროლებზეა ჯერი მიმდგარი,—ამბობდა მსასოებელი და ძველ, ნახევრათ დამპალ ბადეს აკონკებდა.

გაჩნდებოდენ ტოროლებიც; მაშინ ამხანაგები მინდვრათ მიდიოდენ, თოვლ შუა გამშრალ ალაგზე დგამდენ ბადეს და სველები და ტალახში ამოთხაპნილები დარბოდენ მინდორში, მიერეკებოდენ ბადის ქვეშ მშიერ და ფრენით მოქანცულ ფრინველთ, რომლებიც საკვებს დაეძებდენ ნოტიო, თოვლისგან ახლათ განთავისუფლებულ მიწაზე. დაჭერილ ფრინველებს, ხან შაურათ ყიდდენ თითოს, ხან უზალთუნათ. შემდეგ გაჩნდებოდა ჭინჭარი, რომელსაც კრეფდენ და მიქონდათ ბაზარში მწვანილეულობით მოვაჭრე ქალებთან. თითქმის ყოველი დღე გაზაფხულისა მათ ახალ რამეს აძლევდა, ახალს, თუმც მცირე შემოსავლიანს. მათ ყველაფრის მოხმარება იცოდენ: ბზა, მჟაუნა, მარწყვი, ქამა-სოკო—არაფერი არ აცდებოდა მათ ხელს. ჯარის-კაცები სასროლათ რომ გამოვიდოდენ—ძმობილები, სროლის გათავების შემდეგ სანიშნოზე დაძვრებოდენ, თოფის ტყვიებს დაეძებდენ, რომლებსაც შემდეგ გირვანქას თორმეტ კაპეკათ ყიდდენ. ყველა საქმეები იმდენ შემოსავალს იძლეოდა, რომ ძმობილები სიმშილით არ იხოცებოდენ, მაგრამ ძალიან იშვიათათ ეძლეოდათ შემთხვევა მაძღრები ყოფილიყვენ და დამტკბარიყვენ იმ სასიამოვნო გრძნობით, როდესაც კუჭი სავსეა და შიგ გახურებული მუშაობაა.

ერთხელ, აპრილში, როდესაც კოკორი ხეზე ჯერ კიდევ ბუჟუჟდება და ტყე ლეგა წყვდიადით მოცული დგას, ხოლო შავ-მოწითალო, მსუქან, მზის სხივებით მორწყულ მინდორში კი, ოდნავ ამოუყვია ბალახს თავი,—ძმობილები დიდ გზაზე მიდიოდენ, მიდიოდენ მათივე ხელით გაკეთებული პაპიროზის წევით და ლაპარაკობდენ.

— შენ უფრო-და-უფრო ხშირათ ახველებ, აი...—იცეკვე-ფეხო მშვიდობიანათ წინასწარ-ამხელდა მეგობარს.

— ეს ფურთხის ღირსია!.. არაფერია!.. აი მზე რომ გამათბობს—გამოვცოცხლდები...

— ან იქნებ, საავათმყოფოში რომ წასულიყავი...

— ეჰ! რას ლაპარაკობ? თუ სიკვდილი მიწერია, ისეც მოვკვდები.

— ეგ, ოღონდაც, ეგრეა...

ისინი არყის ხეების გვერდით შარა გზაზე მიდიოდენ და არყის ხეებს მათზე გადმოეტყორცათ თავისი წვრილი ტოტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის აჭრელებული ჩრდილი. ბელურები დახტოდენ გზაზე და ცოცხლათ ჭიკჭიკობდენ.

— სიარული ცუდათ დაიწყე...—სიჩუმის შემდეგ, შენიშნა იცეკვე-ფეხომ.

— ეს იმიტომ, რომ, თითქოს რაღაც მახრჩობს მე...—აუხსნა მსასოებელმა.—ჰაერი ეხლა სქელი, ნოტიოა და აი ამიტომ სუნთქვა ჩემთვის ძნელია...

და, რა—შეჩერდა, მან ჩაახველა.

იცეკვე-ფეხო მის გვერდით იდგა, პაპიროზს სწევდა და გამოურკვევლათ მიჩერებოდა ამხანაგს. მსასოებელს ხველამ მოუარა და ამის გამო იგი თრთოდა, ხელებს მკერდზე ისვამდა; სახე კი მას გაულურჯდა.

— ძალიან დამიგლიჯა სასულე, აი,—თქვა მან, ხველამ რომ გადაუარა.

და განაგრძეს გზა, თან ბელურებს აფრთხობდენ.

— ეხლა ჩვენ მუხინისკენ გავწიოთ..,—დაილაპარაკა იცეკვე-ფეხომ, გადააგდო პაპიროზი და გააფურთხა.—ეზოებ გარეთ გავუაროთ მას... იქნებ, მოვიპაროთ რამე... იქით სივცოვის ქალაზე კუზნეჩიხს ჩავუაროთ... კუზნეჩიხიდან მარკოვკაზე გადავუხვიოთ... და მერე სახლში...

— ოც-და-ათ ვერსამდე იქნება სასიარულო,—თქვა მსასოებელმა.

— ოღონდ ტყუილათ ნუ ჩაგვივლის სიარული და...

გზის მარცხნივ ერთგვარათ უალერსო და ბნელი ტყე იყო; მის გატიტვლებულ ტოტებ შორის არც ერთი თვალის ალერსით მიმზიდველი წერტილი არ ჩანდა ჯერ კიდევ. ტყის პირას დაეხეტებოდა პატარა, ბანჯგვლიანი, აბურძგნული ცხენი, რომელსაც ფერდი ფერდს მიკროდა; მის ჩონჩხზე ნეკნები ისე გამოხატულებივით მოსჩანდენ, როგორც კასრის სალტეები; ...ვ შეჩერდენ ამხანაგები და დიდხანს უცქირეს ცხენს, როგორ ნელა მიაბიჯებდა, უშვებდა ჩიჩვირს მიწისკენ, როგორ კლეჯდა ტუჩებით ყვითელ მინდვრის ყვავილ-ბალახს და რა კულმოდგინებით ღეჭავდა თვისი გაცვეთილი, ჩაყვითლებული კბილებით.

— ესეც უჭმელობით დალეულა!..—შენიშნა მსასოებელმა.

— ცხენმა შეხედა მას და, უარყოფით ჩაიქნია-რა თავი, ისევ მიწისკენ დაიხარა.

— არ უნდა შენთან მოსვლა,—ახსნა მსასოებელმა ცხენის დაქანცული მოძრაობა.

— წავიდეთ!.. ეგ რომ... თაარებთან წავიყვანოთ—ასე, შვიდ მანეთს მოგვცემენ, მგონი...—დაფიქრებით დაილაპარაკა იცეკვე-ფეხომ.

— არ მოგვცემენ. რაში გამოიყენებენ მაგას!

— ტყავი?

— ტყავი? განა ტყავში მაგდენს მოგვცემენ? სამ მანეთზე მეტი არა ღირს.

— იიჰ.

— მაშ, რა? მაგას განა როგორი ტყავი ექნება, იცი? ფეხსახვევი ტილო იქნება, ტყავი კი არა...

— მაინც ხომ მოგვცემენ რამეს...

— ჰო, მაგას რა თქმა უნდა!..

იცეკვე-ფეხომ შეხედა ამხანაგს, გაჩერდა და თქვა:

— აბა?!

— საჯანჯლო საქმეა...—გაუბედავათ გამოეხმაურა მსასოებელი.

— რა საჯანჯლოა?

— კვალი გამოჩნდება... სველი მიწაა... შეეტყობა, საით წავიყვანეთ...

— ქალამნები ჩავაცვათ მაგას...

— როგორც გინდა...

— ჰაიდა! შევაგდოთ ტყეში და მოვიცადოთ იქ დაღამებამდის... ღამე გამოვიყვანოთ და ჩავუგდოთ თაარებს... ახლო არიან—სამ ვერსამდე იქნება.

— კარგი, რა ვქნა?!—ჩაუქნია თავი მსასოებელმა,—წავიდეთ! დღევანდელი კვერცხი... მხოლოთ ის კი...

— არაფერი არ იქნება!—დარწმუნებით სთქვა იცეკვე-ფეხომ.

მათ გადუხვიეს გზიდან და აქეთ-იქით ცქერით ტყისკენ გაემართენ. ცხენმა შეხედა მათ, დაიფრუტუნა, კუდი გაიქნია და ხელახლა იწყო დამჭკნარი ბალახის კორტნა.

ვანო გიუნაშვილი.

(შემდეგი იქნება).

რუსეთის ცხოვრება.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის წარმოდგენის დროს თეატრში გუბერნატორისგან დაპატიმრებულ იქმნა ერთი თვით მოქალაქე სვერდლოვი, შვილი იურისტის გურევიჩისა, შვილები მოხელე მორკოვინისა და აზნაური მოისეევი.

ოდესა. ქვის-მტეხელთა მადაროების საზოგადოებაში აღიძრა პროექტი მუშების დაზღვევისა ორ-ორ კაპეიკის გამოკლებით დღიური ხელ-ფასისაგან; ყველა ქვის-მტეხელი მუშები 2,846-მდე ადის.

როგორც „კურიერი“ გვატყობინებს, კურლიანდიის ეკონომიურ საზოგადოებას დაუდგენია დაარსოს საპენსიო კასა სოფლელ მუშებისათვის. ამგვარი დადგენილება, ამბობს „კურიერი“, უეველ შემთხვევაში საინტერესოა სოფლელ მუშების ჭირ-ვარამის გაუმჯობესობისათვის. საზოგადოების თავმჯდომარემ პირადათ წარუდგინა პროექტი სამიწათ-მოქმედო მინისტრს.

ფინლიანდია. ამ დღეებში რამოდენიმე მასწავლებელ ქალებს წარუდგენიათ პეტიცია 1885 წლის წესდების ზოგიერთი მუხლების შესაცვლელათ სახელმწიფო მასწავლებელ ქალების ჯამაგირის შესახებ. პეტიციის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ქალებ-მასწავლებლებს მიეცეს იმდენი ჯამაგირი, რამდენიც აქვთ კაცებ მასწავლებლებს; ამისათვის ქალებმა უნდა მიცენ იმგვარივე ეგზამენები უნივერსიტეტში, როგორიც კაცებმა.

დონის ოლქი. შემოღებულია სავალდებულო დადგენილება ადგილობრივი გაძლიერებული დაცვისათვის.

როსტოვი დონზე. ხმოსნმა ბახჩისარაიჩევმა შეიტანა წინადადება საბჭოში, რომ ტრამვაის მსახურებზეც გავრცელდეს საფაბრიკო წესდება სამუშაო დღის შესამოკლებლათ.

ფინანსთა სამინისტროში ცალკე კომისიას შეუმუშავებია შემდეგი კითხვა პასპორტების შესახებ. პასპორტების გასაახლებლათ აღარ იქნება საჭირო გაუგზავნოს კაცმა წოდებრივ სამმართველოს წინანდელი პასპორტი; ამის მაგივრათ წოდებრივ სამმართველომ თვითონ უნდა შეადგინოს ახალი პასპორტი, გაუგზავნოს პოლიციას, რომელიც გარდასცემს მთხოვნელს; ამასთანავე, პოლიცია, ამ უკანასკნელს ჩამოართმევს ხელ-წერილს და წინანდელ პასპორტს და გაგზავნის წოდებრივ სამმართველოში.

მოსკოვი. „მოსკოვის პოლიციის უწყებაში“ დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერისა. 16 თებერვალს: „სუშენის პოლიციის მოსამსახურე პლატონ ლევინისთვის (ნიშანი № 224) მიუმართავთ დამწყვდეულ პოლიტიკურ დამნაშავეთ და უთხოვნიათ, რომ ეშოვა მათთვის წერილის ბლანკები, ისე კი რომ ეს არ გაეგო სატუსაღოს ზედამხედველს. პლატონ ლევინს ეს გადაუცია ზედამხედველისთვის და მალე მისთვისვე ჩაუბარებია ტუსაღების მიერ სხვა-და-სხვა ადგილას მიწერილი წერილებიც, რომელიც ლევინს უნდა წაეღო ტუსაღების თხოვნით დანიშნულებისამებრ ვაძლევ-რა საჩუქრათ ლევინს სინიდისიერათ სამსახურის ასრულებისათვის 50 მანათს, პოლიციის ფულიდან გადარჩენილს, გიბრძანებთ, რომ

გამოგზავნოთ ლევინი ჩემ კანცელარიაში ფულის მისაღებათ“.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ კიევის პოლიტეხნიკუმი დაიხურა და ამასთანავე დაწვრილებით აღნიშნავს მიზეზებს.

პეტერბურგი. „პეტერბურგის ქალაქის გრადონაჩალნიკის უწყებაში“ გამოცხადებულია პეტერბურგის ქალაქის გრადონაჩალნიკის ბრძანება შემდეგი შინაარსისა: „3 მარტს, დღის 12 საათსა და 30 წუთზე, ნევის პროსპექტზე, სადოვოი და კაზანის ქუჩებ შუა, დიდ-ძალი თავ-მოყრილი საზოგადოების შორის, ახალგაზდა კაცთა კრებამ, განსაკუთრებით სტუდენტებმა მოინდომეს უწესოების მოხდენა, რის გამოც ზოგიერთებმა გაათვრიალეს წითელი ბაირაღები აღკრძალულის ზედწარწერით. ეს ამბავი პირველათ მოსპო პოლიციამ, ყველა ბაირაღები წაართვეს და ვისაც ისინი ეკავა და აგრეთვე უწესოების მომხდენთა უმეტესი ნაწილი შეიპყრეს. მივიღებთ რა მხედველობაში, რომ ყველა შეპყრობილნი პირნი არიან დამნაშავენი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაში პეტერბურგის გრადონაჩალნიკისა, რომელიც გამოცემულია რვა მარტს და ცხრა დეკემბერს 1901 წელსა ჩემგან, მიუხედავათ იმისა, რომ უმთავრესი დამნაშავენი გამოძიების შემდეგ დაისჯებიან კანონით, ამ ჟამათ სავალდებულო დადგენილებათა ძალით დავაპატიმრეთ სამი თვის ვადით შემდეგი პირნი: (იმათი სახელები ჩამოთვლილი, მათ შორის 21 სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა, ხუთი სტუდენტი სამთო ინსტიტუტისა, ორი სტუდენტი სამოქალაქო ინჟენერების ინსტიტუტისა, ოთხი სტუდენტი ტეხნოლოგიური ინსტიტუტისა, ოთხი სტუდენტი გზათა ინჟენერების ინსტიტუტისა, ორი სტუდენტი სამხედრო საექიმო აკადემიისა, ორი მსმენელი ქალი უმაღლესი საქალებო კურსებისა, ორი მსმენელი ქალი ქალთა სამედიცინო ინსტიტუტისა, ერთი ექიმი, ერთი ნაფიცი ვექილის თანაშემწე, ერთი კბილის ექიმი და 42 სხვა-და-სხვა წოდების პირი).

ღია წერილი

„ცნობის-ფურცლის“ რედაქციისადმი.

მე მესმის, რომ თქვენი რედაქცია ვექილობას უწევს თავის ერთგულ თანამშრომელს, ბ. არ. ჯორჯაძეს. მე მესმის ისიც, რომ თქვენთვის მეტათ საწყენი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ მე ლიტერატურული პლაგიატობა დავუმტკიცე თქვენი გაზეთის ბელადს, ე. ი. ბ. ჯორჯაძეს. ყოველივე კეთილ-შობილურ გრძნობას აღნიშნავს და მეტს არაფერს. მაგრამ მე სრულებით არ მესმის, თუ რათ ვერ გაგიგიათ თქვენ ჩემი აღელვება, ანუ თქვენი ზრდილობიანი სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი „გაცოფება“, „გაშმაგება“, „გაბრაზება“! თქვენი რა მოგახსენოთ, და მე კი სწორეთ ამაღელვა, და თუ მაინცა-და-მაინც გნებავთ, კიდევაც „გამაცოფა და გამაშმაგა“ ბ. ჯორჯაძის მეტათ უდიერმა საქციელმა, რომელიც მან გამოიჩინა პლაგიატობაში და შემდეგ ამ პლაგიატის გამართლებაში. ან შეიძლება თქვენთვის აქ სათაკილო და დასაძრახი არა არის რა! ვერ გამიგია ვერც ის, რომ თქვენი გაზეთი ერთი მხრით მუდამ ლიტერატურულ ზრდილობაზე და ეთიკაზე ლაპარაკობს და მეორე მხრით ასეთი შვენიერი ეპიტეტებით მამკობს მე: თავხედი, გაშმაგებული, გაცოფებული, გაბრაზებული და რა ვიცი კიდევ რა. რაში გამოიხატება ჩემი „თავხედობა“, თუ არ იმაში, რომ მე ბ. ჯორჯაძის ლიტერატურული დანაშაული ვამხილე? თქვენ ამბობთ, „რომ „კვალის“ პუბლიცისტებს, რაც უნდა გახდეს, ბ. არ. ჯორჯაძის პიროვნების დამცირება სურთო“; მაგრამ ეს სიტყვის ბანზე აგდებაა, რასაც თქვენ არ. ჯორჯაძესთან ერთათ მეტათ დაჩვეული ბრძანდებით. უმჯობესი იყო, ჯერ [illegible]იგებდით, მართალი იყო ის, რასაც მე ბ. ჯორჯაძეს ბრალსა ვდებდი. თქვენ კი სრულებით დაუფიქრებლათ გაიძახით, რომ „ბ. ჯორჯაძეს პლაგიატობა არ ჩაუდენია, რაკი აღუნიშნავს თავისის ცნობების წყაროო“ („ცნობ.-ფურც.“, № 1743). მაგრამ თქვენ არ იცით საქმის ვითარება, ან [illegible]ზრახ ფარავთ სიმართლეს. საქმე ის არის, ბ. ჯორჯაძეს [illegible] უკანასკნელ წერილის ერთ სხოლიოში (იხ. „ცნ. ფურც.“, № 1583) აქვს მოხსენებული ბერნშტეინის წიგნი, მაგრამ ისე, რომ ჩვეულებრივი მკითხველი ვერ მიხვდება, თუ რომელ წიგნზეა აქ ლაპარაკი. გარდა ამისა ეს სხოლიო ეკუთვნის ბ. ჯორჯაძის წერილის ერთ ადგილს, რომელიც უდრის ბერნშტეინის წიგნის მე-85—89 გვერდს. მაგრამ ბ. ჯორჯაძეს თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოწერილი აქვს ბერნშტეინის წიგნიდან შემდეგი გვერდები: 102, 107, 110, 111, 112, 113, 114 და 115, და არსად არა თუ ფრჩხილებში არა აქვს მოყვანილი სხვისი სიტყვები, არამედ არც კი იხსენიებს ბერნშტეინს. პირ-იქით, იგი ასახელებს, რომ ეს ცნობები მას ამოღებული აქვს ბროდრიკის წიგნიდან (იხ. „ცნ. ფურც.“, № 1582). რა ქვია ამას, თუ არ პლაგიატი? და დასაგმობი და გასაკვირია იგი თუ არა? ან შეიძლება, თქვენ უკვე შეითვისეთ თქვენი თანამშრომელის, ბ. ჯორჯაძის, თეორია პლაგიატობისა! ეს კიდევ უფრო სამწუხარო იქნება, მაგრამ რას არ უნდა მოელოდეს ცოცხალი ადამიანი!

მოსაუბრე.

ფინლიანდიის ამბები.

ოფიციალურ „ფინლანდ. გაზ.“-ში დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი განცხადება:

„უმაღლესი მანიფესტით 1901 წლის 29 ივნისს (12 ივლისს) გამოცხადდა ახალი წესდება სამხედრო ბეგრისა ფინლანდიისათვის. ამის შემდეგ ჰელსინგფორსში დაიწყეს ჩამოსვლა ფინლიანდიის საერო კრების წევრებმა საგანგებო სხდომის მოსახდენათ და სხვა პირებმაც, რომელნიც ცნობილნი არიან პოლიტიკური მოღვაწეობით.

რამდენისამე კერძო სხდომის შემდეგ, რომელნიც მოხდა უმთავრესათ ცნობილის პოლიტიკური მოღვაწის მეხელინის ბინაზე, ყველა აღნიშნული პირი და ბევრი სხვაც შეიკრიბნენ 4 (17) აგვისტოს ტურგოლმის კუნძულზე (ქ. ჰელსინგფორსის ახლო), სადაც შეიმუშავეს პასტორთა მიმართ პროკლამაცია; ამით ისინი ხალხის სასულიერო მწყემსთ იწვევდენ არ დაემორჩილონ უმაღლეს მანიფესტს, არ გამოაცხადონ იგი ეკლესიებში, როგორც ამას კანონი მოითხოვს, და, საზოგადოთ, თავის მაგალითით ხალხიც წააქეზონ ახალი წესდების წინააღმდეგობაზე.

ამ პროკლამაციის შემდეგ მცხოვრებთა შორის გავრცელდა მეორე სათაურით—„როგორ უნდა მოვიქცეთ სამხედრო ბეგრის საქმეში“, რომელიც ასე იყო ხელმოწერილი: „საერო კრების ზოგიერთი დეპუტატი“. უკანასკნელ პროკლამაციაში მკვიდრთ ურჩევდენ: დეპუტაციების საშუალებით სთხოვეთ მღვდელთ, რომ არ გამოაცხადონ ეკლესიებში უმაღლესი მანიფესტი; ხოლო, თუ მღვდლები ამ თხოვნას არ შეგისრულებენ, მაშინ ეკლესიებში გამოუცხადეთ მედგარი პროტესტი, მიიღეთ ყოველგვარი ღონისძიება, რათა მღვდლებმა ვერ მოახერხონ მანიფესტის გამოცხადება და შემდეგ ყველა ერთად გამოდით ეკლესიებიდან.

ამ პროკლამაციების გარდა ფინლიანდიაში გავრცელდა სხვა-და-სხვა აუარებელი ფურცელი და ბროშურა, უმთავრესათ სტოკჰოლმში და შტეტინში დაბეჭდილი; ამ ბროშურებში და ფურცლებში ხალხს დამახინჯებულათ უამბობდენ სამხედრო ბეგრის ახალის წესდების საქმეს.

აღნიშნულ პროკლამაციების მოწოდების თანახმათ, ბე-

ერი ეკლესიების მღვდლებმა უარი თქვეს და არ გამოაცხადეს უმაღლესი მანიფესტი; ზოგიერთი მათგანი ფინლიანდიის სენატის წინაშე შუამდგომლობდა — გაგვანთავისუფლეთ მძიმე მოვალეობისაგანო (მანიფესტის გამოცხადებისაგან); სხვებმა სასტიკი კილოთი შედგენილი განცხადებანი წარუდგინეს სენატს, რომლებითაც აღნიშნეს, რომ „არ შეუძლიათ კანონათ აღიარონ უმაღლესი მანიფესტი; ამიტომ სინიდისი ნებას არ მისცემს მათ გამოუცხადონ მანიფესტი ხალხს, რადგან თუ გამოუცხადეს, ეს იქნება დარღვევა ფიცისა და ღალატი სამშობლოს წინაშე“, მაგრამ ფინლიანდიის სენატმა უარი უთხრა შუამდგომლობაზე მღვდლებს და დაავალა კონსისტორიებს—მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი და გამოაცხადებინონ მღვდლებს ეკლესიებში უმაღლესი მანიფესტი.

დაწესებულებათათვის და ეკლესიებისთვის „კანონთა კრებულის“ იმ ნომრის დარიგება, რომელშიაც მოთავსებული იყო ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება დაგვიანდა; ზოგიერთი მმართველობანი არ ურიგებდენ მღვდლებს იმ ნომერს, ხოლო ქალაქ ნიუსტადის მმართველობამ სრულიადაც არ გადასცა ეკლესიებს იგი იმ მოსაზრებით, რომ „ახალ წესდებას სრულიადაც არ შეუძლია კანონის ძალა იქონიოს ფინლანდიისათვისო“. ამ დაგვიანებით ისარგებლეს ბოროტ-მომქმედ აგიტატორებმა და წინააღმდეგობისათვის მოამზადეს ფინლიანდიის გავლენიანი ინტელიგენცია და ზოგიერთ თემებში ხალხიც.

ზოგიერთ ეკლესიაში, როდესაც მღვდლებმა დააპირეს უმაღლესი მანიფესტის წაკითხვა, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა, უმთავრესათ ინტელიგენტებმა, არ აცალეს და გამოუცხადეს ღვდლებს მრევლის მხრით: „ნუ კითხულობთ ისეთ ბრძანებას, რომელიც ფინლანდიის კანონების მიხედვით არ არის შედგენილი“; სხვა ეკლესიებში, როგორც კი დაიწყებდენ მღვდლები მანიფესტის კითხვას, დამსწრენი იწყებდენ ფსალმუნების გალობას—„უფალია ჩვენი ძლიერი მფარველიო“—და მღვდლები იძულებული ხდებოდენ შეეწყვიტათ მანიფესტის კითხვა. ხოლო ზოგიერთ ეკლესიაში, მაგალითად, ქალაქ სიბოში (ნიულანდის გუბერნია), ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ძალით გაყარეს ეკლესიიდან ხალხი, რომელსაც მანიფესტის მოსმენა სურდა, და შეურაცყოფა მიაყენეს მღვდელს, როდესაც იგი ეკლესიიდან გამოვიდა; ხელიდან გამოგლიჯეს მანიფესტი და კინწის კვრით გაიგდეს წინ. ყველა იმ პირთ, რომელნიც უშლიდნენ მღვდლებს მანიფესტის წაკითხვას, ადმინისტრაცია სასამართლოს პასუხის გებაში აძლევდა, მაგრამ ადგილობრივი მოსამართლეები ამართლებდნენ დამნაშავეთ.

მიუხედავათ სენატისა და ეპისკოპოსების ბრძანებისა, ზოგიერთი მღვდელი სრულიად არ შეეცადა უმაღლესის მანიფესტის წაკითხვას. მაშინ ისინი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი, ხოლო მანიფესტის გამოცხადებისათვის ეკლესიებში გაგზავნეს მღვდლები, რომელთაც საკუთარი მრევლი არა ყავთ; ერთს ამ გვარს მღვდელს, სახელდობრ ზალმეს, მანიფესტი უნდა წაეკითხა ჰელსინგფორსის ეკლესიებში 3-სა და 13-ს თებერვალს. როგორც კი შეუდგა კითხვას, მაშინვე მას შემოერტყა მოწინააღმდეგეთა წრე გაზეთ Páivâlehti'-ს რედაქტორის, ერო ერკოს, მეთაურობით, რომელმაც გამოუცხადა მღვდელს: „ფინლანდიის ერის სახელით გთხოვთ შესწყვიტოთ მაგ უმაღლესის ბრძანების კითხვა და ჩამოხვიდეთ კათედრიდან“-ო; ამასთანავე სხვებმაც მიაძახეს—ჩვენც გთხოვთ, გთხოვთო! ამის შემდეგ დამსწრეთ დაიწყეს გალობა ფსალმუნისა „უფალია ჩვენი ძლიერი მფარველი“. მღვდელი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა მანიფესტის კითხვა.

დემონსტრაციის მონაწილენი პოლიციის კომისარმა საპოლიციო მმართველობაში მიიწვია ოქმის შესადგენათ. ყველამ მონაწილეს, რომელთა შორის იყვნენ: სამსახურიდან გადაყენებული, მავნე პროპაგანდის გამო, ლიცეის რექტორი ფონ-ბენსდორფი, ადვოკატები ფონ-გარტმანი [illegible] ლინი და სხვები—, ჰსურდა ერთად მიეცა ჩვენებ[illegible]ისათვის, მაგრამ გააცალკავეს, ჩამოართვეს ჩვენება და გაანთავისუფლეს.

შემდეგ კვირას, 10 (23) თებერვალს, ხალმემ კიდევ განიზრახა მანიფესტის წაკითხვა, მაგრამ დაწყებისთანავე ზემოხსენებულმა ბ. ფონ-ბესდორფმა მიაძახა: „მკვდელმა არ უნდა იკითხოს სამხედრო ბეგრის შესახები ბრძანება, რადგან იგი უკანონოა, და ჩვენ პროტესტს ვაცხადებთო“. ამასთანავე დოქტორმა ცილიაკუსმა და სხვებმა მიაყვირეს: „არ შეიძლება მაგის წაკითხვაო“; ეალხმა შემოსძახა ფსალმუნა: „უფალია ჩვენი ძლიერი მფარველიო“ და მღვდელმა ისევ შესწყვიტა უმაღლესის მანიფესტის კითხვა.

დემონსტრაციის მონაწილენი კომისარმა კვლავ მიიწვია პოლიციაში ოქმის შესადგენათ. მათ თან გაყვა დიდ-ძალი ხალხი, რომელიც გარს შემოეხვია საპოლიციო მმართველობის შენობას პოლიციის თხოვნაზე დაშლილიყო, ხალხი ყვიროდა „ურას“ და ადგილიდან არ იძროდა. მაშინ გამოწვეულ იქმნა ცხენოსანი და ქვეითა ჯარი, რომელმაც განფანტა ხალხი და ამასთანავე დაატუსაღა ზოგიერთი მოწინააღმდეგე. ოქმის შესადგენათ პოლიციაში მიწვეულთა შორის იყვნენ შემდეგი პირებიც: ნიულანდის საგუბერნიო მმართველობის ყოფილი ვიცე-ლანდსკამერირი გოლბერგი, ყოფილი რექტორი ფონ ბენსდორფი, ფილოსოფიის მაგისტრები ბლუმკვისტი და სტოლლი, სენატის ძღივანი ემილ ფურულ-ჰეიმი (რომელმაც ჯოხიც კი დაკრა თავში პოლიციის კომისარს), სტუდენტები და სხვანი.

ყველა ამ საქმის შესახები ოქმები გადაეცა პროკურორს დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემათ“

პატარა წერილი.

დღეს ქართველი საზოგადოება გულ-წრფილი აღტაცებით დღესასწაულობს თავისი საყვარელი არტისტის, ვ. აბაშიძის, 25 წლის მოღვაწეობას სამშობლო სცენაზე. ჩვენც ასევე გულ-წრფელათ ვუერთდებით საზოგადო აღფრთოვანებას და საერო დღეობას, მაგრამ არ შეგვიძლია მაინც არ გავიხსენოთ გულ-გრილობა ჩვენი საზოგადოებისა ჩვენი თეატრისადმი, მაშინ, როდესაც მას სჭირია მისი ზნეობრივი და მატერიალური დახმარებაც. დღევანდელი წუთიერი აღტაცება, სამწუხაროთ გვაგონებს ქართული თეატრის წარსულ სეზონს, რომელიც თითქმის 1,000 მანათის დეფიციტით გათავდა. სად იყო ეს გრძნობა, როდესაც წარსულ სეზონში ჩვენი თეატრის არტისტები ნაღვლიანი თვალებით გადმოყურებდენ ცარიელ სკამებს პარტერში. სად იყო ეს აღფრთოვანება, რატომ არ გვაგონდებოდა ჩვენი მსახიობნი მაშინაც, როდესაც მათ უნდა მიემართათ გამგეობის ცარიელი კასისათვის! ნუ თუ მხოლოთ ერთ დღეს, მხოლოთ ერთი წამის გატაცებით უნდა მოვიხადოთ ხოლმე ვალი ჩვენ მოღვაწეთა და საზოგადო დაწესებულებისადმი. დიახ, სწორეთ რომ ასეა, ამის მაგალითებიც აურიცხველი!

არა, ერთი დღეით საზოგადოების მაჯის ატოკება ვერ ასწევს მაღლა ვერც საზოგადო საქმეს და ვერც საზოგადო პირს შეძენს ზნეობრივ ძალას, კვლავ სამოქმედოთ ძალის განახლებას და განმტკიცებას. დეე, დღევანდელმა დღემ დატოვოს კვალი ჩვენ გულში და ხსოვნაში, რომ შემდეგისთვის მაინც უფრო მეტი დახმარებით, უფრო მეტი სიყვარულით, უფრო მეტი საქმიანობით და არა წუთიერი აღფრთოვანებით, ვეცადნეთ ქართული თეატრის და სასცენო ხელოვნების წინ წაწევას, აყვავებას და განვითარებას.

მაშინ და მაშინ გვექნება მხოლოთ საბუთი წარვდგეთ პირნათლათ დღევანდელისებურ დღესასწაულზე!

№-სა.

საშშობლოს ცაზე.

ერთმა ქიზიყელმა თქვა: „ეს ოხერი იმდენი ვერ მოვიცალე, რომ მოვმკვდარიყავო“, სწორეთ ასეევ ემართება ოზურგეთის აბრეშუმ შემოძარცულ „შუამავალსაც“, არ ასვენებენ საწყალს, რომ როგორც ჭეიშვილის წესი და რიგი მოითხოვს ისე გაჭიმოს თავფეხი.

მე უკვე გაუწყეთ, რომ უკანასკნელი კრებების „ანჩინ“ ბით კვლავ ჭეიშვილი გაუძღვა წინ სულთმობრძეა „მხევალ“ „შუამავალს“ აბრაამის წიაღისაკენ. ჩვენ გულის ფანცქალით ველოდდით ამის შემდეგ, რომ აგერ, აგერ და მოზარეიბს დაიბარებენ ლანჩხუთიდანო, მარა კვლავ წაგვიხდა წინასწარმეტყველობა.

ლანჩხუთელებს განუზრახავთ მიცვალებული უკანვე დაბრუნონ. მათ ენდათ გაანთავისუფლონ ის ჭეიშვილის ბრჭყალებისაგან, რათა ჩაბერონ სული უკვდავი და სიცოცხლისაკენ პირის მქნელი; როგორც შევიტყეთ ზოგიერთ ოზურგეთელებსაც „ოზურ-გეთი!“ უთქვამთ ჭეიშვილისთვის და ლანჩხუთელებს მიმხრობიან მარა, ლეშს რომ მატლი მიეკვრება მისი აგლეჯა თფილისის ბეითალებსაც კი გაუჭირდებათ. არა, ჭეიშვილი და ლანჩხუთი, ოზურგეთის ოპოზიცია და ჭეიშვილი, ვგონებ მხოლოთ მაშინ გაათავებენ ბრძოლას, როდესაც მიცვალებულს მიქელ-გაბრიელი ჯოჯოხეთის კარებში შეაჯახებს. ხოლო ჩვენ გვიკვირს და გაგვკვირებია: ნუთუ მართლა ასე დაიბრიყვა ერთმა კაცმა მთელი საზოგადოება, ნუთუ ლანჩხუთელების და მათთან ზოგიერთ ოზურგეთელების შეერთებულმა ძალამ ვერ ასწყვიტა ის ჯაჭვი, რომელმაც ასე შეახმატკბილა ბ-ნი ჭეიშვილი უბედურ „შუამავალთან“?!

* * *

ყველა მღერის, ყვილა ცეკვამს, მეც ავყვები დიპლიპიტოსო, ასე გაიძახიან დღეს ჩვენი ესრეთ წოდებული საზოგადო სამოღვაწეოთ საღერღელ აშლილნი. ვინ, ვინ გინდა რომ სამოთხეს არა გვპირდებოდეს. რომელს იტყვით, რომ პანტას თურაშაული არ გამოასხას, და ნიშა ფურს ჭრელი ხბო არ მოაგებიოს. აი წარსულ კვირასაც გაზ. „ცნობ. ფურ.“-ის და «ივერიის» პირით ერთი «ნეტარ არიანი» გვემცნო და შეგვესმინა. ავტორი ამ „ნეტარ არიანისა“ ი. როსტომაშვილი გახლავთ, ხოლო შინაარსი კი მის ღაღადისისა ამ გვარია: მუხლი ა) ნეტარ არს კაცი, რომელი მოვალ ოთახსა შინა ჩემსა, რომელ სა მეურნეობისა ლექციები უკითხოვო.

მუხ. ბ) ნეტარ არს კაცი, რომელი გამოგზავნის ჩემთან თავისი ხარჯით ამ გვარსა მოწაფესა და შემოძღვნის მეცნიერებასა ჩემსა ქანქარსა და ცოდვილსა რამდენსამე დესეტინასა მიწასაო.

მუხ. გ) ნეტარ არს კაცი. რომელი არა მკითხავს, რისთვის, რათა და რა უნდა გავაკეთო.

მუხ. დ) ნეტარ არს კაცი, რომელი არა განკვირდების, რომ მეურნეობა ოთახში არ ისწავლების და ირწმუნებს რომ „კაპუსტა“ ჭერშიაც დაითესებისო.

ხოლო მე კი ვიტყვი: ნეტარ არს ქართველი, რომელსა შესწევს მოთმინება იკვებოს როსტომაშვილის ფსალმუნებით.

ნეტარ არს კაცი, რომელი არა სათვალავ ყოფს, თუ რაოდენი აბი გადაუყლაპია ამ გვარი რეცეპტებით და ნეტარ არს ქარის წისქვილი, რომელი ტრიალებს მისთვის, რომ მხოლოთ იტრიალოს და იტრიალოს!

რიგოლეტო.

ნეკროლოგი.

† ალექსანდრა არკადის ასული დავიდოვისა.

ქართველ მკითხველთა ზოგიერთ ნაწილს, „ქრონიკა“-ს, „ივერიის“ და უადგილოთ ეჩვენოს ქართულ ბრესაში ამ სახელის—ალექსანდრა-ს არ დაეძრახავთ მას ამისთვის, რადგან მართლაც ეს გარდაცვალებული ს. ს. დავიდოვისა აქნობამდე ცნობილი იყო მხოლოთ რუსეთში და ისიც როგორც გამომცემელი ჟურნალ „Міръ Божій“-სა. მაგრამ როგორც რუსეთისათვის, ისე ჩვენთვისაც საგულისხმიერო ერთი გარემოება, რომელზედაც მინდა მოველაპარაკო დღეს ჩვენ მეთხველს: რომ თვალი გავადევნოთ დღეს ქართველ ერს და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას, სხვა ნაკლთან ერთად შევნიშნავთ ერთ უდრეს დაქვეითებასაც; სახელდობრ ჩვენ საზოგადოებრივ საქმეებში თუ არ მივიღეთ მხედველობაში წვრილმანი რამ, ჩვენ ქალების დღემდე შეუმჩნეველი ადგილი უჭირავთ. სულ ორ-სამ თითზე ჩამოთვლებიან ჩვენ ვიწრო თვალში მომწყვდეულ საზოგადო საქმეთ მიმდევართა შორის ქართველი ქალებიც. ხოლო იმისთანანი კი, რა გორიც იყო განსვენებული ს. ს. დავიდოვისა სანატრელნი არიან არამც თუ ჩვენთვის, არამედ რუსეთისათვისაც, სადაც ჩვენზე უფრო ადრე ატოკდა მაჯა წინ-სვლისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრ ვერ დასახელებს რუსეთის ბრესის ისტორია იმისთანა ბირს, რომელიც ასე ახლოს, ასეთი თვით-მოქმედებით, მხოლოთ საკუთარ ძალ-ღონით შედგომოდეს იმ დიად საქმეს, როგორიც არის საზოგადოთ ჟურნალის ან გაზეთის გამოცემა, მისი ადორძინება, მისი წინამძღოლობა და სამსახური. ვერ დასახელებს რუსეთის ბრესა იმისთანა ქალს, რომელიც ასე გულ-მოდგინეთ, ასეთი გატაცებული სიყვარულით, როგორც ს. ს. დავიდოვისა ემსახურებოდა მწერლობას და ისიც მხოლოთ მწერლობის იმ დარგს, რომელიც მოდგაწეს ს. უქმნის არც სახელს მის თავ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ ს. არც აძლევს რასმე ნივთიერთ. არა, მას ხელში რჩენ მხოლოთ შრომა, შრომა ჩუმი, უტაშოთ და შეუმჩნეველათ. აი სწორეთ ამისთანა საზოგადო მშრომელი იყო აწგანსვენებული ს. ს. დავიდოვისა. მან არამც თუ თავისი ძალ-ღონით საზოგადოების საჭიროებლოთ გამოიტანა ხალხში ლამპარი განათლებისა, არამედ მუდამ წინ უძღოდა ამ დამპარს და მთელი თავისი ენერგია შეალია მას. სულ მოკლე ხანში ამ ენერგიულმა ქალმა მოუხოვა ჟურნალ განსაკუთრებული ადგილი რუსეთის ბრესაში, სულ მოკლე ხანში ა. ფრიადა დრაშა სინათლისა და თვით, როგორც ფარვანა, ეკვლებოდ ზედ. მაგრამ ეველაზე საგულისხმიერო ჩვენთვის, ის რომ ს. ს. დავიდოვისა გამოვიდა ამ წრიდან, რომელშიაც იმ დროამდე ბალ-ვ ჩერების და თავის შექცევის მეტ ვერაფერ ხედავდა. ის დიდან ჟურნალის ადმოტენებისა ტრიალებდა მხოლოთ-და ბრესის მსახურთა შორის, უახლოვებდა მათ ჟურნალს და ანამდა ძაფს საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებისას, საზოგადოების წინ-სვლისათვის. აი, ამიტომ საგულისხმიერო განსვენებული ს. ს. დავიდოვისა, როგორც რუსეთის ბრესისათვის, ისე ჩვენთვის და ჩვენ ქალთათვის!

დაუვიწყარ იყოს სახელი შენი, ბატივცემულო ადამიანო!

№-სა.

ოჯახის წარმოშობა და განვითარება.

სანამ პირდაპირ ოჯახის ისტორიას შევუდგებოდეთ ჩვენთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ერთი კითხვა: ოჯ კავშირზე იყო აგებული პირველ-ყოფილ ადამიანთა ცხოვრება? იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, თითქმის არ არსებობდა საწარმოო ძალა; ტეხნიკა ისე მარტივი იყო, რომ ადამიანს განმარტოებულ ცხოვრება არც კი შეეძლო, სიცოცხლისათვის ბრძოლამ ინსტიქტიურათ შეაერთა კაცი კაცთან, რომ საერთო ძალით მაინც გაეტარებიათ თვისი ფრიად გაჭირვებული ცხოვრება. მართლაც, ეხლაც ბევრი ველური ცხოვრობს ამგვარათ. ისინი ერთათ ცხოვრობენ, ერთათ აკეთებენ სახლებს, ერთათ კრეფენ ნაყოფს, ერთათ ნადირობ

ბენ, ერთი სიტყვით, მათი ცხოვრება საერთო წარმოებაზე და ხმარებაზეა დამყარებული. ამ საწარმოო ძალის სიმარტივის გამო მათში არ სუფევს კერძო საკუთრების იდეა, მათში საერთო საკუთრებაა. მათ ცხოვრებაში არ არის კერძოვნება, ინდივიდუალიზმი: იქ თითქმის არავინ იცის, თუ რა არის „შენი" და „ჩემი"—ის სიტყვები, რომელნიც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების დედა ღერძათ გარდაიქცენ; ამისათვის იქ არა აქვს ადგილი ეგრეთწოდებულ „მე"-ს, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. თვითეული ყველასათვის და ყველა თვითეულისათვის—აი პ რველი დამახასიათებელი თვისება მათი საზოგადოებისა. თავის თავათ იგულისხმება, რომ ამგვარ წყობილებაში პასუხის მგებელია საზოგადოება—თემი და არა კერძო პიროვნება: დააშავა ვინმემ რამე—თემმა უნდა გასცეს პასუხი! სცემეს, ან მოკლეს ვინმე—თემის საქმეა შურის ძიება. ერთი სიტყვით, ტეხნიკის სიმარტივემ, საერთო საკუთრებამ ისე შეაერთა ხალხი თემში, რომ პიროვნება მასში სულ დაიკარგა. თვით ჰეროდოტი მოწმობს, მაგ., რომ სკვითებში შეუძლებელი იყო ნახვა კერძო, ინდივიდუალური ტიპისა; ჰუმბოლტის აზრით, ველურ ხალხთა შორის უფრო ადვილია საზოგადო ფიზიონომია გაიგოს კაცმა, ვიდრე ინდივიდუალური. ამნაირათ, პირველ ყოფილ ხანებში, ასე რომ ვთქვათ, ცხოვრობს თემი და არა პიროვნება; იქ არის თემობრივი კავშირი და არა ოჯახური. ამგვარ კავშირმა სქესებრივ ურთიერთობასაც თავისი ორგანიზაცია მისცა. თუ რანაირია ეს ორგანიზაცია, ამას გავიგებთ შემდეგით.— ცნობილმა მორგანმა, რომელიც ცხოვრობდა იროკეზებში, აღმოაჩინა ჰავაის ნათესაობითი სისტემა *), სადაც მხოლოთ ხუთი სახელია ნათესაობითი ხარისხისათვის: ბაბუა და ბებია, მშობლები, ძმები და დები, შვილები და შვილიშვილები; ამ სისტემის მიხედვით, ყველა დები და ძმები ჩემი ბაბუ-სა და ბებიისა არიან ჩემი ბაბუა [illegible]; ყველა დები და ძმები ჩემი მშობლებისა არიან ჩემი მშობლებიც; ყველა შვილები ჩემი დებისა და ძმებისა არიან ჩემი შვილებიც; ყველა ჩემი დების და ძმების შვილიშვილები არიან ჩემი შვილიშვილებიც. ამგვარი სისტემა, მორგანის აზრით, წარმოსადგენელია მხოლოთ მაშინ, როცა სქესთა შორის სუფევს სისხლშემრევი ურთიერთობა...

მაგრამ ეს ჰიპოტეზა, ცოტა არ იყოს, სიმართლეს მოკლებულია; მორგანი შეიყვანა შეცდომაში იმ გარემოებამ, რომ მან პირველყოფილ სიტყვებს „დედა, მამა, ძმა, და" თანამედროვე, ჩვეულებრივი მნიშვნელობა მიაწერა. ამ სიტყვებს კი მაშინ სულ სხვაგვარი მნიშვნელობა ქონდა; ეს სახელები (როგორც ლებოკმა, ვესტერმარკმა და განსაკუთრებით კუნოვმა აღმოაჩინეს) და მათი მნიშვნელობა წარმოშობა ასაკებათ დაჯგუფებამ, რომელიც თავის თავათ წარმოშობილი იყო დგმებათ დაყოფისაგან...

ავსტრალიელებში, მაგალითათ, სქესთა შეერთება შეიძლება მხოლოთ მაშინ, როცა მათ სხვა-და-სხვა ცერემონიებით მიაწერენ „ახალგაზდათა" ჯგუფს. ამისათვის თემი დაყოფილია ასაკთა მოდგმებათ. პირველ დგმას ეკუთვნიან ბავშვები, რომელთაც შეუღლების ნება არა აქვთ; მეორე დგმას ისინი, ვინც მიწერილია ახალგაზდათა ჯგუფზე; მესამე დგმას—მშობლები. მაგალითათ, ლიბერნიცებზე და გალაკტოფაგებზე ნიკოლოზ დამასკელი ამბობს, რომ ისინი ყველა მოხუცებს უწოდებენ მშობლებს, ყველა ახალგაზდებს—შვილებს და ყველა თანამოზარდეს—ძმებსა და დებსაო [1]). ამას გარდა, ჰავაიში, რიბოს მოწმობით, მხოლოთ ხნიერება აწეს-რიგებს ნათესაობას, ასე რომ, ვინც კი მოხუცია, ყველა ბებიასა და ბაბუას ეძახიანო, ვინც მათ მშობლებათ ერგებათ—მშობლებსაო და ვინც მათი თანაკბილაა—ძმებსა და დებსაო [2]). ამგვარ დანაწილებამ გამოიწვია ის ნათესაობითი ორგანიზაცია, რომელიც მორგანს მოყავს: ის პირები, რომელნიც ზედა ჯგუფს ეკუთვნოდენ, მეორე ჯგუფის მამებად ითვლებოდენ; მეორე ჯგუფის წევრები კი თავისთავათ ბავშვებთა ჯგუფის მამებათ ითვლებოდენ—და ასე ამ ნაირათ. სახელი „მამა" მაშინ ფიზიოლოგიურ კავშირს კი არ უჩვენებდა, როგორც ეხლაა ჩვენში მიღებული, არამედ მხოლოთ ზედა დგმის კუთვნილებას და მეტს არაფერს; ესევე ითქმის „დედაზე, ძმაზე, დაზე" და სხ. [3]). მორგანის ჰიპოტეზა ხსნის, რასაკვირველია, თუ მე რათ მიმაჩნია მამებათ მამიჩემის ძმებიც, მაგრამ, რატომ მე დედიჩემის დებიც მიმაჩნია დედებათ, როცა დედისგან ჩამომავლობა ყოველთვის თვალსაჩინო იყო? აი, ამას მორგანის ჰიპოტეზა ვერ ხსნის და ვერც ახსნის, იმიტომ რომ მაშინდელ სახელებს (დედა, მამა, ძმა, და სხვ.) თანამედროვე მნიშვნელობა მიაწერა. აქედან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ პირველყოფილ ხანებში არსებობდა თემობრივი კავშირი და არა ოჯახური, სადაც ნათესაობა დგმაზეა აგებული და სადაც ბავშვები თემს ეკუთვნოდა. მაგალითათ, გადახედეთ თვით სპარტანელებს, სადაც ბავშვები ოჯახს კი არა, სახელმწიფოს ეკუთვნოდენ; ესევე არის სამხრეთ კალიფორნიაში...

ეხლა ვიკითხოთ: რაგვარი შეერთება სუფევდა სქესთა შორის ამ პირველ საფეხურზე? ბახოვენი, მორგანი და სხ. ამ კითხვაზე ამბობენ, რომ მაშინ უწეს-რიგო შეერთება, ესე იგი, ალვირ-წახსნილი გეტერიზმი იყოვო... ეს შეხედულება ძლიერ საეჭვოა, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ბევრ უბრალო ცხოველებშიაც აღარ არის ამგვარი უწეს-რიგობა, მშობლებსა და შვილებ შუა მაინც უმრავლესობაში სულ მოსპობილია. დარვინი ამბობს, რომ ბევრ ინდოელ და ამერიკის მაიმუნებს მონოგამიური შეერთება აქვთო, თუმცა მხოლოთ განსაზღვრულ ხანაში. მოვიყვანოთ ის მაგალითები, რომელიც მოყავს კაუტსკის*). ვედდა იმგვარი ხალხია, სადაც ხის ფუღუროებში ცხოვრობენ, თვლაც არ იციან, სახელებიც არ აქვთ; მიუხედავათ ამისა, ამბობს ლებოკი, ზიზღით უყურებენ ისინი პოლიგამიას და ძლიერი სიყვარულით ეპყრობიან თვის ცოლებსაო. ანდამანაცებზე ჰორტმანი ამბობს, რომ მათი თხოვა-გათხოვება ბევრს არაფერს მოითხოვსო: თუ ქალსა და ვაჟს მოეწონათ ერთმანეთი, მშობლების ნება-რთვის მეტი აღარა უნდათო. ასევეა ბუშმენებში და ინდოელებში. სამხრეთ კალიფორნიის მცხოვრებზე ფაჟი ამბობს: ამ ინდოელებს ყოველთვის ერთი ცოლი ყავთ, მაგრამ ისინი სცვლიან მათ ერთმა-ნეთში, როცა მოეხასიათებათო. ეს უკანასკნელი შენიშვნა ღირს-შესანიშნავია, რადგანაც საკმაოთ ხსნის პირველ-ყოფილ მონოგამიურ შეერთებას. პირველ-ყოფილ ხანებში, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ყველა თანასწორი იყო, ყველა თავისუფალი: არც ქალს ქონდა მეტი უფლება და არც კაცს. ამისათვის გასაკვირი არ არის, რომ ქალი და კაცი რამდენიმე ხნით (მონოგამიურათ) შეერთებულიყონ. მკითხველს არ ეგონოს, რომ ეს იყო ის მონოგამია, რომელიც ბოლოს წარმოიშობა; აქ იყო სქესთა შორის იმგვარი დამოკიდებულება, სადაც, როგორც შეერთება—შეთვისება მალე ხდებოდა, ისე გაყრაც თან მოსდევდა; აქ იყო მონოგამიური გეტერიზმი, თუ ასე შეიძლება ითქვას...

გრ. რობაქიძე.

(შემდეგი იქნება)

*) Морганъ. Первобытное общество.

[1]) Н. Зиберъ. Очерки первобытной экономической культуры.

[2]) Рибо. Психологія [Ч]увствъ.

[3]) П. Берлинъ. О первобытномъ обществѣ. Науч. Обозр 1901 г. 11—12. აქედანვეა ამოღებული კუნოვის მოსაზრება.

*) Каутскій. Возникновеніе брака и семьи.

ბ-ნ ჩხიკვიშვილის წერილის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ. ჩხიკვიშვილი ხოლო ასწერს რა, გურიის მუშა ხალხის მდგომარეობას, უცებ ნახტომი ეშლება, დოდიკა დალატობს და უცებ გადადის გურულ მოჯარადრე ბერებზე: იმის აზრით და დოდიკით გამოდის, რომ თუ ერთი მოჯარადრე, რომელსაც ორი-სამი სადგურის საქმე აქვს ადებული, მეორეს გადასცეს, -იმავე ბიჯობებით, რა ბერობებითაც ბერველს აქვ ადებული, მაშინ ეს უკანასკნელი მოჯარადრე კი არ ეოფილა. არა, ბ. ჩხიკვიშვილს ეს არა სურს... არამედ მეორე მოჯარადრეს ბეჩავი ხალხის ქულაჯაში ახვევს და მუშათა ბანაკში ასკუბებს... აგრეთვე რაც უნდა დანაშაულობა ჩაიდინოს ამ მეორე მოჯარადრეებმა, მაგალითად, მათ მოწვეულ მუშას ფული არ მისცენ, საქონელი დაკარგონ, ხოლო ფული მიიდონ და შესწამონ, ეს ყველა მეორე მოჯარადრებისთვის კანონიერი და შესანდობი ეოფილა *) ვინც ბ. ჩხიკ. წერილს წაიკითხავს, ყველასთვის აშკარაა, რომ „ბეჩავ მუშათა“ რიცხვში მათი ჩასკუბება უადგილოა და ულოდიკო კაცის აზრია. და ჩვენ ძლიერ გვიკვირს ჰატივცემული რედაქციისაგან, რომ ამ ამბავს არ დაუკვირდა და ისე დაბეჭდა ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ, ჩვენ ორივე მხრის მოჯარადრენი, რომლებმაც ერთი მეორეს საქმეზე გაურიგდით, მართველობისაგან და მცოდნე ბერთაგან კანონიერათ შემდგარ ბერობებზე ხელი მოგაწერეთ, ზალოგები მივეცით, რაც არაფერი შინაურულათ და ნამუსზე დაყენებული არ არის, და ეოფილა წერილობითი და საბუთებით გაკეთებულია, აქ მგონია ჩვენ სურვილზე არაფერია და რომც გვინდოდეს რომელიმე მხარეს ერთი მეორის დაჩაგვრა, ვერაფერს დავაკლებთ... ხოლო ამას თუ იმასაც მიუმატებთ, თუ ბ. ჩვენი მოჯარადრენი, როგორ ექცევოდენ მუშათა ქირის მიცემას, (რომლებსაც მის მაგიერ მე ვაძლევდი), საქონლის დაკარგვის (რომელიც დაკარგეს და საიდუმლო და საჩუმათო არავისთვის არის) და ბერობის ყველა მუხლების დარღვევას, რომლებიც კარგათ იციან თვითონ ბბ-ნი მოჯარადრენის მოკავშირეებმა ბერებმა: ა. მგელაძემ, ირაკლი რამიშვილმა და პეტრე ურუშაძემ, ამის ჩაუჩენება ადვილი არ არის და თავის დროზე ყველანი ნათელში გამოიფინება, და ჩვენც მანამდის ძალუნებურათ უნდა მოვითმინოთ. რა გაეწყობა... მაგრამ არ შეგვიძლია ერთი რამ არ ვკითხოთ ჰატივცემულ რედაქციას (ჩვენ ბ. ჩხიკვიშვილს არ ვიცნობთ და არც გვინდა მასთან საუბარი გამართვა, რაიმე კითხვის მიცემა, ხოლო როცა გავიცნობთ, თუ მოსასერხებელათ დავინახავთ ამას, მაშინ კი მოგასთხოვთ ბასუხს, სადაც ჯერ არს), რომ აგვიხსნას შემდეგი: 1) რას ნიშნავს ხელწერილი, ბერობა, თუ ეს შესრულებული არ იქნება?! 2) რას ნიშნავს „ზალოგი“, თუ ის რაიმე ბქმის გამო ბასუხის საგებელათ არის წარდგენილი, და თქვენ დაბერებული არ შეასრულეთ? 3) კანონიერია, როცა ჩემი მოჯარადრეების მიერ მისცემ ფულს, მუშათა ქირას, მე მასტუმრებიებენ და ჩემგან მიღებული ფულიდან ეოველ თვეში მუშას არ ურიგებენ ხელდ ქირას? 4) რას უნდა მიეწეროს ის, რომ ოცდაორი წლის განმავლობაში ამ ხელობაში ვარ, და ერთი მუშა არ [illegible]ძდგარა ჩემთვის უჩიოდეს ან რაიმე უკმაყოფილება მომხდარიყოს, დასასრულ ვარწმუნებთ ჰატივცემულ რედაქციას, რომ ჩვენ თუ ამ საქმეებს ვეტანებით სხვათა შორის ჩვენი სურვილი ის არის, რომ ჩვენებურ მუშა ხალხს სამუშაო გავუჩინოთ და, რამდენათაც კი შესაძლებელია ჩვენგან დახმარება გავუწიოთ... ადე, ჩხიკვიშვილებმა და მისთანაებმა იჩხირკედელაონ და მათებურათ წერონ, თუ ამითი სოფელს ააშენებენ... რაც შეეხება „კავალის“ უნიშვნას შინაურ მიმოხილვაში:... „უჩიოდეთ ეიდეც მის მსხვერპლებს, მაგრამ „მართალია ვინ იცის, ბამოვა თუ არა რამე“, რადგან სხვა არა იეოს რა, ის წანაგლეკი 2000 მანეთი მაინც მეტს იარაღს აძლევს ხელში [illegible] „კავალის“ უკიდურესობაა, და ვანუგეშებ ჰატივცემულ რედაქციას, რომ იქ, სადაც 2000 მანეთის და მეტის საქმეები ირჩევა და წყდება, ეოველივე რიგიანი და სამართლიანია, და არავის არ შეუძლია „ასეთ წანაგლეკით“ დანაშაულობის გამოუძღვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ᲙᲕᲐᲚᲘᲡ» ᲤᲝᲡᲢᲐ.

ბ-ნ გუ—ულს. თქვენი ლექსი ვერ იბეჭდება.

*) იხილე „კვალის“ № 8, კორესპონდენცია გურიიდან.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

კვირას, 10 მარტს. **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.** 1902 წელს

Ვ. Ა. ᲐᲒᲐᲨᲘᲫᲘᲡ 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართულ სცენაზე ქართულ დრამატიულ სახოგადოების გამგეობის მიერ გამართულ იქნება **ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ:**

დილით: დასაწყისი 1 საათზე. წარმოდგენილი იქნება სტენუ თავ. გ. ერისთავის კომედიიდან

ᲛᲒᲐᲣᲠᲐᲘ თვითონ იუბილიარის და მთელი დასის მონაწილეობით; დასასრულ

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

საღამოთი: დასაწყისი 8 საათზე.

მესამე მოქმ., გოგოლის, კომედ. **„ᲠᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ“**; მეორე მ. ს. ცაგარლის, კომედ. **„ᲮᲐᲜᲣᲛᲐ“**; მესამე მოქმ., მოლიერის, მედ. **„ᲛᲣᲖᲛᲣᲖᲔᲚᲐ“**; მესამე მოქმ., სუდუკანის კომედ. **„ᲗᲐᲑᲐᲚᲐ“**. დასასრულ **ᲐᲞᲝᲗᲔᲝᲖᲘ.**

ადგილების ფასი საბენეფისოა.

[illegible]

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

Მ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 247.

აპთიკოფეს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდ

ᲓᲘᲦᲘᲗ:

ვ. ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.

ᲓᲘ. ᲒᲝ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.

ᲒᲘ. ᲒᲝ. ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შინაგ. სამშ. დ ხუთშ. 10—11.

ᲕᲐ. ᲓᲔ. ᲓᲐᲛᲑᲐᲫᲔ — შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთშ. 1—2.

ნ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲜᲘ — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. ᲞᲐ. ᲡᲐᲡᲐᲓᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — კბილის სნეულებანი, 10—12

ᲒᲘ. Მ. ᲥᲔᲠᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შინაგ. და ბავშ. 11—12

ᲓᲔ. Ს. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ნერვებისა და შინაგ. 12—1

Ს. ᲒᲘ. ᲑᲐᲠᲘᲜᲣᲚᲝᲕᲘ — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევობით, 12—1.

ᲡᲘ. Ს. ᲯᲝᲩᲘᲫᲔ — ქირურგიული, ორშაბათობით ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.

ᲒᲘ. Მ. ᲐᲛᲑᲐᲠᲓᲐᲜᲝᲕᲘ — სიფილისისა, კანისა და სამარდესი, 1—2.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ᲓᲘ. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — დედათა სნეულებანი, 5—6

Ს. ᲒᲘ. ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შინაგანი და ბავშვებისა, 5—6

ᲙᲕᲘᲠᲝᲑᲘᲗ:

ᲒᲘ. ᲒᲝ. ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შინაგან აპთიკოფ., 10—1

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი [illegible] დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კროიტები [illegible] გებით. ერთი კროიტი დარიბთათვის უფასოა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Ჯ. Ი. ᲛᲐᲠᲢᲘᲠᲝᲡᲘᲐᲜᲪᲘᲡ [illegible] № 1—2, დიდი ვანქის